მარიამი
მუსლიმანი ქალის
სიმბოლო

ანგელოზებმა უთხრეს მარიამსა:
ღმერთმა

ამოგარჩია, ყოველის მწიკვლისაგან
გაგცალა,

ქვეყნის ყველა ქალებში ამოგარჩია.“

(3-ე სურა, 37-ე მუხლი)

ჰარუნ იაჰია

მკითხველთათვის

ამ წიგნში ევოლუციის თეორიის კრახს მთლიანი თავი ეძღვნება, რადგანაც ეს თეორია ანტისულიერი ფილოსოფიის მატარებელია. დარვინიზმი ღვთის მიერ სამყაროს გაჩენასა და თავად ღმერთის არსებობას უარყოფს. ბოლო 140 წლის განმავლობაში ამის გამო ბევრ ადამიანს შეერყა რწმენა. იმის ჩვენება, რომ ეს თეორია მცდარია, რელიგიისთვის ძალზე მნიშვნელოვანია. ყველამ უნდა გაიგოს, რომ ეს თეორია მართებული არ არის. თანაც მკითხველმა შეიძლება ჩვენი წიგნების სერიიდან მხოლოდ ამ წიგნის წაკითხვა მოახერხოს. ასე რომ, საჭიროდ მიგვაჩნია, წიგნში ამ თემას რამდენიმე გვერდი დავუთმოთ.ავტორის ყველა ნაწარმოებში, რწმენასთან დაკავშირებულ განხილვებს ყურანიდან მოყვანილი სურები ახლავს თან. იგი ხალხს ღვთის სიტყვის შესწავლისკენ და ამ სიტყვის ცხოვრების წესად ქცევისკენ მოუწოდებს. ეს სურები კი, თავის მხრივ, ისეა ახსნილი, რომ მკითხველისთვის გაუგებარი არაფერი რჩება. წერის გულწრფელი, მარტივი და სავსე მანერის წყალობით ეს წიგნი განსხვავებული სოციალური ფენისა თუ ასაკის მკითხველისთვის ერთნაირად გასაგებია. თხრობის ასეთი მანერა წიგნის ერთი ამოსუნთქვით წაკითხვის საშუალებას იძლევა. არარელიგიური ადამიანებიც კი წიგნში მოყვანილი ფაქტების ზეგავლების ქვეშ ექცევიან და ამ ფაქტების ჭეშმარიტებას ვერ უარყოფენ.

ავტორის ამ და კიდევ სხვა მრავალი წიგნის ინდივიდუალურად წაკითხვაც შესაძლებელია და ჯგუფთან ერთად განხილვაც. მკითხველს წიგნის შინაარსის ჯგუფთან ერთად განხილვა სხვებისთვის თავისი შთაბეჭდილებისა და გამოცდილების გაზიარების საშუალებას მისცემს.

ამას გარდა, ღვთის საამებლად დაწერილი ამ წიგნების კითხვა და სხვებისთვის გაცნობა რელიგიის თვალსაზრისითაც

მართებულია. ავტორის ყველა წიგნი დამაჯერებლადაა დაწერილი.

ამიტომ, ვინმეს თუ უნდა, რომ სხვა ადამიანიც აზიაროს ჭეშმარიტ რელიგიას, ამ წიგნის წაკითხვა უნდა ურჩიოს.

იმედია, მკითხველი წიგნის ბოლოს განთავსებულ სხვა წიგნების ანოტაციასაც გადაავლებს თვალს და რელიგიური ბაზისის მქონე სასიამოვნო და სასარგებლო საკითავითაც დაინტერესდება.

ზოგიერთი სხვა წიგნებისაგან განსხვავებით, ამ წიგნებში თქვენ ვერ იპოვით ავტორის პირად მოსაზრებებს, საეჭვო წყაროებზე დაყრდნობით გაკეთებულ დასკვნებს, წმინდა თემების უპატივცემულოდ და უხეშად მოხსენიების ფაქტებს, საეჭვო და პესიმისტური ხასიათის მქონე საკითხებს.

ავტორის შესახებ

ავტორი, რომლის ლიტერატურული ფსევდონიმიც ჰარუნ იაჰიაა, 1956 წელს, ანკარაში დაიბადა. ანკარაში დაწყებითი და საშუალო განათლების მიღების შემდეგ, იგი სტამბულში მიმარ სინანის სახელობის უნივერსიტეტში ხელოვნების, ხოლო სტამბულის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოსოფიის სწავლას შეუდგა. 1980 წლიდან მოყოლებული მას უამრავი წიგნი აქვს გამოცემული პოლიტიკაზე, რელიგიასა და მეცნიერებაზე. ჰარუნ იაჰია სწორედ ის ავტორია, რომელმაც თავისი ნაწარმოებების საშუალებით ევოლუციონერების სიცრუეს ფარდა ახადა, უამრავი ადამიანი დაარწმუნა, რომ მათი მოსაზრებები მცდარია, დარვინიზმის, ფაშიზმისა და კომუნიზმის შავბნელ იდეოლოგიებს შორის კი კავშირი დაამტკიცა.

მან ფსევდონიმი ორი შუამავლის არონისა (ჰარუნ) და იოანეს (იაჰია) პატივსაცემად აიღო. ავტორის ყველა წიგნზე ერთნაირი სიმბოლოა. ეს ნიშანი ყურანის, ღვთის მიერ გადმოცემული უკანასკნელი წიგნისა და მისი უკანასკნელი შუამავლის, მუჰამედის სიმბოლოა. ავტორის მთავარი მიზანი ყურანისა და სუნას დახმარებით შავბნელი იდეოლოგიების არამართებულობის დაამტკიცება და რელიგიის წინააღმდეგ გამოთქმული მოსაზრებების გაბათილებაა. ბრძენი და მორალურად სრულყოფილი შუამავლის სიმბოლო იმის მაჩვენებელია, რომ ნაწარმოები სრული ჭეშმარიტებაა.

ავტორის ყველა ნაწარმოები ერთ მიზანს ემსახურება – გადასცეს ადამიანებს ყურანის მოძღვრება და ამით ისინი ისეთ საკითხებზე დააფიქროს, როგორიც ღვთისა და იმქვეყნიური ცხოვრების არსებობაა. მის მიზანს, აგრეთვე, ურწმუნო საზოგადოების დამახინჯებული და ბოროტი საქმიანობის ჩვენებაც წარმოადგენს

.

ჰარუნ იაჰიას ნაწარმოებებს მრავალ ქვეყანაში ჰყავს მკითხველი - ინდოეთსა და ამერიკაში, ინგლისსა და ინდონეზიაში, პოლონეთსა და ბოსნიაში, ესპანეთსა და ბრაზილიაში. მისი ნაწარმოებები თარგმნილია ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ, იტალიურ, ესპანურ, პორტუგალიურ, არაბულ, ალბანურ, რუსულ, სერბულ-ხორვატიულ, პოლონურ, მალაიურ, თურქულ, ინდონეზიურ და ურდუ ენებზე აღსანიშნავია რომ იგი მკითხველებში დიდი პოპულარობით სარგებლობს.

ამ ნაწარმოებებმა მსოფლიოში დიდი მოწონება დაიმსახურა და მრავალ ადამიანს დაეხმარა ღმერთთან დაახლოებასა და რწმენის გამყარებაში. ჰარუნ იაჰიას ნაწარმოებები მარტივად გასაგები ენისა და მათში არსებული სიბრძნის გამო ადვილად იკითხება და არც ერთ მკითხველს არ ტოვებს გულგრილს. ეს ნაწარმოებები ადამიანებზე დიდ ჭთაბეჭდილებას ახდენს, რადგანაც მათი გაცნობის შემდეგ მკითხველს ყოველგვარი ეჭვი უქრება სარწმუნოებასთან დაკავშირებით. ჰარუნ იაჰიას ნაწარმოებების წაკითხვის შემდეგ, ადამიანს მატერიალისტური ფილოსოფიის, ათეიზმისა და სხვა გახრწნილი იდოლოგიის დაცვის სურვილი აღარ გააჩნია. თუ მაინც განაგრძნობენ მათ დაცვას, ეს მათი სიჯიუტის ბრალი იქნება, რადგანაც ავტორი ასეთ იდეოლოგიებს ყოველმხრივ უარჰყოფს. სარწმუნოების უარყოფის თანამედროვე მცდელობები იდეოლოგიურად დამარცხებულია ჰარუნ იაჰიას ნაწარმოებების წყალობით.

აშკარაა, რომ ეს ყველაფერი ყურანის სიბრძნისა და ლოგიკურობის დამსახურებაა. ავტორი თავისი თავით არ ამაყობს; იგი მხოლოდ ცდილობს, რომ თავისი მკითხველი ღმერთისკენ მიმავალ ჭეშმარიტ გზაზე დააყენოს. თანაც იგი თავისი ნაწარმოებების გამოქვეყნებით მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებას სულაც არ ცდილობს.

ამ ფაქტებს თუ გავითვალისწინებთ, ის ვინც, ამ წიგნის შესახებ სხვასაც გააგებინებს, ფასდაუდებელ სამსახურს გაუწევს

კაცობრიობას – მრავალ ადამიანს აუხელს თვალს და მათ ღმერთთან დაახლოებაში დაეხმარება.

ასე რომ, იმ წიგნის პროპაგანდა, რომელიც ადამიანს გონებას ურევს, იდეოლოგიურ ქაოსამდე მიჰყავს და იმდენად ძლიერი არ არის, რომ ადამიანს ეჭვი გაუფანტოს, ენერგიისა და დროის ფუჭი ხარჯვაა. ყველასთვის ნათელია, რომ ის ნაწარმოებები, რომლებშიც ავტორი ადამიანის რწმენასთან დაახლოების ნაცვლად, თავისი წერის ნიჭის წარმოჩინებას ცდილობს, დიდი ეფექტი არ გააჩნია. ის, ვისაც ამაში ეჭვი ეპარება, ამ წიგნის წაკითხვის შემდეგ მიხვდება, რომ ჰარუნ იაჰიას ერთადერთი მიზანი ურწმუნოებზე გამარჯვება და ყურანის მორალური ღირებულებების ხალხში გავრცელებაა. ავტორის ნაწარმოებების გულადხილი სტილი, სიძლიერე და წარმატებულობა მკითხველის დარწმუნებას ადვილად ახერხებს.

ერთი რამ კარგად უნდა გვახსოვდეს: კონფლიქტი, დაუნდობლობა და ის ტანჯვა-წამება, რომელსაც ადამიანთა უმრავლესობა დღეს განიცდის, რელიგიასთან გაუცხოების ბრალია. ამ ყველაფრის აღმოფხვრა ურწმუნოების იდეოლოგიურად დამარცხების – სამყაროს შექმნის სასწაულებისა და ყურანის მორალის ხალხში გავრცელებითაა შესაძლებელი. სამყაროს დღევანდელ მდგომარეობას თუ გათვალისწინებთ, კაცობრიობა ძალადობის უფსკრულში მიექანება. ასე რომ, ადამიანების სარწმუნოებასთან დაახლოება უფრო სწრაფად უნდა მოხდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს შეიძლება დაგვიანებული აღმოჩნდეს.

გადამეტებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ჰარუნ იაჰიას ყველა ნაწარმოები სწორედ ამ მიზანს ემსახურება. XXI საუკუნეში მისი წიგნების დახმარებით და უფლის ნებით ადამიანები სამართალს, სულიერ სიმშვიდესა და ბედნიერებას ჰპოვებენ.

ვტორი: ჰარუნ იაჰია
მთარგმნელი:
თამუნა გოგუაძე
რედაქტორები:
ისკენდერ ნადირაძე
თამაზ მიქელაძე
ზურაბ მიქელაძე

ყურანის სურები ნაწარმოებში მოყვანილია „ყურანი მუჰამმედისა“-დან,
თბილისი, ელექტრომბეჭდავი ამხ. „შრომა“, მიხეილის პრ., 65, 1906 წელი

www.harunyahya.com

მარიამი

მუსლიმანი ქალის სიმბოლო

ანგელოზებმა უთხრეს მარიამსა: ღმერთმა ამოგარჩია, ყოველის მწიკვლისაგან გაგცალა, ქვეყნის ყველა ქალებში ამოგარჩია.“ (3-ე სურა, 37-ე მუხლი)

2005 წლის ივნისი

სარჩევი

- შესავალი 10
- მარიამი: მუსლიმანი ქალის სიმბოლო 16
- შუამავალი იესო, ძე მარიამისი 60
- ურწმუნოთა შეხედულება ქალზე 80
- ქალის მნიშვნელობა 100
- მუსლიმანი ქალის იდეალური ხასიათი 146
- ქალთა სახეები ყურანში 198
- დასკვნა 230
- ევოლუციის თეორიის სიცრუე 234

შესავალი

ყურანი, კაცობრიობის ერთადერთი ჭეშმარიტი სახელმძღვანელო, ისეა გადმოცემული, რომ ადამიანს, ამ ქვეყნად ყოფნისას, ნებისმიერ სიტუაციასთან გამკლავებაში დაეხმაროს. ჩვენი შუამავლის(დ.დ.ა.) ნამოქმედარისა და გამონათქვამების კრებული – სუნა კი ყურანის სწორად გაგებაში გვეხმარება. ადამიანებისთვის ყურანის მორალით ცხოვრება რომ გაემარტივებინა, ღმერთმა მათ მაგალითად შუამავლებისა და მუსლიმანების ცხოვრების მაგალითები მოუყვანა:

„მშვენიერი მაგალითია თქვენთვის იგინი (აბრაამ და მისიანები); მშვენიერი მაგალითია მათთვის, რომელნიც ღმერთს ესვენ და უკანასკნელი დღე ჰსწამსთ. ხოლო ვინც ზურგს შეაქცევს, ღმერთი უიმისოდ გაჰსძლებს. მდიდარ და დიდებულია“ (60-ე სურა, 6-ე აიათი). **„გამოგიცხადეთ თქვენ მუხლნი, რომელნიც თქვენ განგიმარტებენ ყველაფერს ნათლად თქვენს უწინარეს ყოფილთა მაგალითებითა, და რომელნიც უწყებად არიან ღვთის მოშიშთათვის“** (24-ე სურა, 34-ე აიათი).

ამ მუხლში, ღმერთი, იმ ჭეშმარიტ მუსლიმანებს, რომლებსაც იმქვეყნიური ცხოვრების სწამთ, ახსენებს, რომ ყურანში მოყვანილი ადამიანების წესი მათთვის მისაბაძი უნდა იყოს.

ყურანში ნახსენები ორი სამაგალითო ქალიდან, ერთ-ერთი მარიამია:

„მორწმუნეებს ღმერთი დაუყენებს მაგალითად ფარაოს ცოლსა. უფალო, ღაღად ჰყოფდა, სახლი ამიგე შენთანა, სამოთხეში, და ფარაოსა და მის საქმეთაგან მიხსენ, უკეთურთაგან მიხსენო. ხოლო მარიამს, იმრამის ასულსა, რომელმაც თავისი ქალწულობა დაიცვა, შთავბერეთ ჩვენის სულის ერთი ოდენ ნაწილი, იგი ერწმუნა უფლის სიტყვებსა, მის წიგნებსა. ხოლო იგი იყო ღვთიან გვამთაგან.“ (66-ე სურა, 11-12-ე მუხლები)

ყველა მორწმუნე ვალდებულია, მარიამის კეთილშობილ ბუნებას ყურანის საშუალებით გაეცნოს და მისთვის მიბაძვას ყველანაირად შეეცადოს.

უფალი მარიამს იდეალური ბუნების მქონე მუსლიმან ქალის მაგალითად წარმოგვიდგენს. მარიამის ტიპაჟი სრულიად განსხვავდება დღევანდელი ურწმუნო საზოგადოების

წარმომადგენელი ქალისაგან. ქალების ბუნება და ხასიათი საზოგადოებისთვის ნაკლებად მნიშვნელოვანია, ქალები კი მუდმივად საპირისპიროს დამტკიცებას ცდილობენ. ასეთ საზოგადოებებში ქალი და მამაკაცი სულ სხვა კრიტერიუმებით ფასდება. მათ მიაჩნიათ, რომ ქალთან შედარებით კაცის იდეალები, მსოფლმხედველობა, ცხოვრების წესი უფრო სრულყოფილი და გაცილებით მნიშვნელოვანია.

ყურანის მიხედვით კი, ქალიცა და მამაკაციც თანაბარუფლებიანები არიან სარწმუნოების თვალსაზრისით და ორივე ერთნაირად უნდა ცდილობდეს ჭეშმარიტ მორწმუნედ ჩამოყალიბებას. აი, როგორ მიმართავს ღმერთი მათ:

„კაცებმა და ქალებმა, რომელნიც სრულებით მიენდობიან ღმერთსა, კაცებმა და ქალებმა, რომელთაცა ჰსწამთ, ორთავ სქესის ღვთის ნიერმა გვამებმა, ორთავს სქესის მართალმა გვამებმა, ორთავ სქესის გვამებმა, რომელნიც ყველაფერს მოთმინებით მოიჭირვებენ, ორთავ სქესის თავმდაბლებმა, კაცებმა და ქალებმა, რომელნიც სამოწყალოს გაიღებენ, ორთავ სქესის გვამებმა, რომელნიც მარხვას ინახავენ, ორთავ სქესის უმანკო გვამებმა, კაცებმა და ქალებმა, რომელთაც ღმერთი ახსოვთ ყოველ წუთს, - ყველამ მიიღოს მიტევება ღვთისაგან და უხვად ჯილდო.“ (23-ე სურა, 35-ე მუხლი)

ეს სურა ცხადჰყოფს, რომ ადამიანი ფასდება არა საზოგადოებრივი ღირებულებებითა და ტრადიციებით, არამედ მისი.

„გამოგიცხადეთ თქვენ მუხლნი, რომელნიც თქვენ განგიმარტებენ ყველაფერს ნათლად თქვენს უწინარეს ყოფილთა მაგალითებითა, და რომელნიც უწყებად არიან ღვთის მოშიშთათვის“ (24-ე სურა, 34-ე სურა)

რწმენის სიმტკიცით. ასეთი ხასიათის განვითარებასთან ერთად, ქალი ძლიერ და პატივსაცემ პიროვნებად ჩამოყალიბდება. საზოგადოებაში ადგილის დამკვიდრებისა და სახელის მოხვეჭის ნაცვლად, იგი პატიოსნად და ღირსეულად ცხოვრებას უნდა შეეცადოს, რითაც უფლის წყალობასა და სიყვარულს დაიმსახურებს.

ამ წიგნში, ურწმუნო საზოგადოების თვალით დანახულ ქალის ტიპაჟს განვიხილავთ და შევეცდებით გადმოგცეთ, თუ როგორ და რატომ შეიქმნა ასეთი ტიპაჟი. მანამდე კი ღვთის რჩეული ქალის, მარიამის ბუნებას განვიხილავთ და შევეცდებით ავხსნათ, თუ

რატომ არის იგი მუსლიმანი ქალის მაგალითის. ამ ყველაფრის გაანალიზების შემდეგ მივხვდებით, რომ მთავარი რწმენა, ღვთისმოშიშობა და უფლის პატივისცემაა. სიკეთის მთესველი ქალი და მამაკაცი კი თანაბრად დაჯილდოვდება ღმერთის მოწყალებით და სამოთხეშიც აუცილებლად შეაბიჯებს: **„კაცნი თუ ქალნი, რომელთაც კეთილი საქმე ჰქმნან და ამ დროსვე მორწმუნე იქმნენ, სამოთხეში შევიდნენ და ერთ ბეწვადაც მოტყუებულ არ იქმნენ ჯილდოში“. (4-ე სურა, 123-ე მუხლი)**

ამ წიგნის მეორე მიზანი კი ურწმუნო საზოგადოების წარმომადგენელი ქალის ამაოებისთვის ფარდის ახდა და ჭეშმარიტების მაძიებელი ადამიანებისთვის ამ გზის დანახებაა, რომელიც მათ ღირსებას, პატივისცემას და კეთილდღეობას ამქვეყნადაც მოუტანს და იმქვეყნადაც.

მარიამი
მუსლიმანი ქალის
სიმბოლო

მარიამის საზოგადოების სახე

ისტორიული წყაროების მიხედვით, დაახლოებით ორი ათასი წლის წინ, ღმერთმა მარიამს შუამავალ იესოს შობის ბედნიერება მიანიჭა. იგი ამქვეყნადაც და იმქვეყნადაც ყველასგან გამორჩეული ქალი იყო. რომაელების მიერ დაპყრობილ პალესტინაში დაბადებული მარიამი, ებრაელი იყო და ებრაულ საზოგადოებაში ცხოვრობდა.

რომაელები კერპთაყვანისმცემლები იყვნენ. ებრაელებს, ოდესღაც ღვთის რჩეულ და **"ყოველის ხალხის უმაღლეს აწეული"** (2-ე სურა, 44-ე მუხლი) ერს, საღვთო რელიგია დაეგმო, ცრუ რწმენაზე მოქცეულიყო, უფლის მოძღვრებებს აღარ ემორჩილებოდა და ღვთის წყალობის მადლიერი აღარ იყო. ზოგიერთი მათგანი ალაჰის მიერ გამოგზავნილ შუამავლებსაც კი ხოცავდა, რადგანაც ამ წმინდა ადამიანების რჩევა-დარიგებების მოსმენა არ უნდოდათ. მათ ცოდვებზე ყურანშიც არის საუბარი:

„ისრაელის შვილთა კავშირი მივიღეთ და წინასწარმეტყველები მოუვლინეთ: ყოველთვის როცა წინასწარმეტყველები აუწყებდნენ მათ ჭეშმარიტებას, რომელსაც მათი გული არ იკარებდა, ზოგს მატყუარობას აბრალებდნენ, ზოგსაც ჰკლავდნენ." (5-ე სურა, 74-ე მუხლი)

მარიამი დიდი არეულობის პერიოდში დაიბადა. იმ დროს ებრაელების ერთადერთი იმედი მესიის მოვლინება იყო. ალაჰმა იგი დაბადებისთანავე აარჩია და მისი წმინდა მოვალეობისთვის მზადებას ისე შეუდგა, რომ მარიამმა ამის შესახებ არაფერი

იცოდა. მარიამს ებრაელების მოლოდინი უნდა გაემართლებინა და ამქვეყნად შუამავალი იესო მოევლინებინა. აი, რას ამბობს ღმერთი იესოს შესახებ: **„მას ეწოდოს მესია, იესო, მარიამის ძე, უჩინებულესი სააქაოსა და საიქიოს და ღვთის მოყვასთაგანი; ვინდაგან ხალხს უნდა ელაპარაკოს იგი ყრმა და დაკაცებული, და მართალთა შორის იქმნეს.** (3-ე სურა, 40-41-ე მუხლები)
ალაჰმა მარიამი იმისთვის აარჩია, რათა მას მორალი და ჭეშმარიტი რელიგია წარედგინა იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც სარწმუნოებისთვის ზურგი ექციათ, ცრურწმენაში ჩაძირულიყვნენ და კერპებს სცემდნენ თაყვანს. ალაჰი ყურანში მარიამს ხშირად ახსენებს, მისი ცხოვრების ეტაპებზე, დაბადებაზე, მის ოჯახზე, შუამავალი იესოს ამქვეყნად მოვლინებაზე, მის ძლიერ ხასიათზე და მისი საზოგადოების სულიერ სიმდაბლესა და უგულობაზე ბევრს საუბრობს.

ალაჰმა იმრანის ოჯახი გამოარჩია

ყურანში ნათქვამია: **„ღმერთმა აირჩია უპირატესობით ყველა კაცთა**
წინაშე ადამ და ნოე, გვარეულობა აბრაამისა და იმრანისა. გვარეულობანი იგი ერთმანერთისგან ჩამომავლობენ...“ (3-ე სურა, 30-ე მუხლი). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იმრანის ოჯახის წევრები შუამავლების – ადამის, ნოეს და იბრაჰიმის შთამომავლები და გამორჩეული ადამიანები იყვნენ. სწორედ ასეთი გამორჩეული ადამიანი

I იყო მარიამი. მის ოჯახს უფლის სწამდა, პატივს სცემდა მის მოძღვრებას და ყოველთვის ჰქონდა ალაჰის მოწყალების იმედი.

მარიამის დაბადება

როდესაც იმრანის მართლმორწმუნე მეუღლემ შეიტყო, რომ ორსულად იყო და მუცლით მარიამს ატარებდა, ალაჰს მადლობა შესწირა. მან უფალს პირობა მისცა, რომ თავის შვილს სარწმუნოებას მიუძღვინდა. იმრანის მეუღლემ გოგონა შობა და მას მარიამი უწოდა. სახელი მარიამი ერთგულს, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უფლისადმი თავდადებულს ნიშნავს. ყურანში იმრანის ცოლის ვედრებაა გადმოცემული:

„მოიგონეთ დღე, როდეს იმრანის მეუღლემ აღავლინა ღვთის მიმართ ეს ლოცვა: უფალო, შენთვის შემომიწირავს, რაც გვამში მაქვს და სრულიად შენდა საკუთრებად იქმნეს; შეიწყნარე იგი, ვინადგან გესმის და უწყი ყველაფერი. ხოლო შვა თუ არა, ჰსთქვა: უფალო, ქალი შემეძინა მე და სახელად მარიამ უწოდე მე. შენს საფარველ ქვეშ დამიყენებია იგი და მისი შთამომავლობა, რათა ჩაქოლვილის სატანას მანქანებისაგან დაიცვა იგინი.“ (3-ე სურა, 31-ე მუხლი)

არა; ვინც ღმერთს სრულებით მიენდოს და კეთილიცა ქმნას, მან ჰპოოს უფრო სასყიდელი თავისის უფლის წინაშე; შიში ვერ ეწიოს მას და არც შეჰსუხდეს. (2-ე სურა, 106-ე მუხლი)

არაბული სიტყვა „მუჰარერენ“ საქმისადმი ერთგულებას ნიშნავს. ასეთია ადამიანი, რომელიც „მხოლოდ იმქვეყნიურ ცხოვრებაზე ფიქრობს, მის რწმენას ვერაფერი არყევს და ამ ქვეყანაზე მხოლოდ იმისთვის არსებობს, რომ ალაჰის სამსახურში იდგეს და თაყვანი სცეს მას.“[1]

ნამდვილი თავისუფლების მოპოვება მხოლოდ ღმერთის სამსახურში ყოფნით, მისი ერთგულებით და ამქვეყნიური ცდუნებების უგულვებელყოფით შეიძლება. სწორედ ასე ფიქრობდა იმრანის მეუღლე, როცა თავისი ქალიშვილი, მარიამი უფალს მიუძღვნა. მას სურდა, რომ მისი ქალიშვილი ისეთი ადამიანი გამხდარიყო, რომელიც მხოლოდ ალაჰის სამსახურში იქნებოდა და მაღალ საზოგადოებაში ადგილის დამკვიდრებას და სახელის მოხვეჭას არ შეეცდებოდა.

მარიამის დაბადების შემდეგ, დედამისმა ალაჰს ქალიშვილის ჩუქებისთვის მადლობა შესწირა და შეევედრა, რომ უფალს მარიამი და მისი შვილები სატანის ბოროტებისგან დაეცვა. უფალმა შეისმინა მისი ვედრება და **„დიახ, მშვენიერი ქმნილება აშობინა“ (3-ე სურა, 32-ე მუხლი).** ბავშვობიდანვე უფლის ერთგულ მარიამს მტკიცე ხასიათი ჩამოუყალიბდა.

მარიამის დედა მართლმორწმუნე ქალი იყო, რომელისაც მხოლოდ ალაჰის მოძღვრების სწამდა და მუდამ მის სამსახურში იყო. ის ჭეშმარიტი მორწმუნეებისთვის სამაგალითო უნდა იყოს და ადამიანები მისი ცხოვრების გათავისებას უნდა შეეცადონ.

მარიამისთვის განათლების მიცემა ალაჰმა შუამავალ ზაქარიას დაავალა

ალაჰმა, ღრმადმორწმუნე შუამავალი ზაქარია სხვა ადამიანებისაგან გამოარჩია და ჭეშმარიტ გზაზე დააყენა. ალაჰი მას აქებს და მის მიერ ღვთის მიმართ ერთგულების, პატივისცემის, შიშის გამოხატვაზე და მის მტკიცე ხასიათზე ამახვილებს ყურადღებას:

„ზაქარია და იაჰია, იესო და ელია, ყველა მართალ იყვნენ. ისმაელ, ელისე, იონა და ლოთ ყველა კაცთა უმაღლეს ავსწიეთ. მათ მამებსა და მათ შვილებს შორის, მათ ძმებს შორისაც კი დიდძალი რიცხვი ავირჩიეთ და სწორის გზით წარვმართეთ.“ (6-ე სურა, 85-87-ე მუხლები)

ყურანში მოთხრობილია, რომ ალაჰმა მარიამისთვის განათლების მიცემა შუამავალ ზაქარიას დაავალა. ზაქარიამ დაკისრებულ მოვალეობას დიდებულად გაართვა თავი. იგი მარიამის ცხოვრებაში მომხდარი სასწაულების მომსწრე გახდა და მიხვდა, რომ გოგონა ღვთის რჩეული იყო. დაინახა, რომ ალაჰი მუდამ მის გვერდით იყო და გაჭირვების ჟამს არასოდეს ტოვებდა მარტო. აი, მაგალითად:

„ზაქარია ზრუნავდა ყრმისთვის; ყოველთვის, როცა კი ნახულობდა მარიამს მისს სენაკში, მის ახლოს საზრდოს ჰპოებდა. მარიამ, ეგ საზრდო საითგან მოგდისო? ღვთისგან მომდისო, მიუგო მარიამმა, ვინდაგან ღმერთი უხვად ასაზრდოებს, ვისაც ჰნებავს და არც მიუთვლის ლუკმა-ლუკმად.“ (3-ე სურა, 32-ე მუხლი)

მარიამის მიერ ზაქარიასთვის გაცემული პასუხი ღვთის მოწყალებასა და დიდებულებას ამტკიცებს.

„აჰა მოთხრობა შენის უფლის წყალობისა თავისი მსახურის ზაქარიას მიმართ. იმ დღეს, როცა ხმა ჰყო უფლის მიმართ საიდუმლო ღაღადებითა და ჰსთქვა: უფალო, სუსტი ძვლები გამომიფიტდა და თავს მომედო ალი ჭარმაგობისა. უბედურ არასოდეს ვყოფილვარ ვედრებით, რომელიც შენდამი აღმივლენია. შიში მაქვს ჩემიანების, რომელნიც უნდა მემემკვიდრონ. ჩემი ცოლი უნაყოფოა; მომანიჭე მემკვიდრე, რომელიც შენგან შთამოებდეს, რომელიც მე მემემკვიდროს, რომელიც იაკობის გვარს ემემკვიდროს; და ჰყავ უფალო, რათა სათნო იქმნეს შენდამი. ზაქარიავ! გახარებთ ძესა. მისი სახელი იაჰია (იოანე) იქმნეს. მის უწინარეს, ეგ სახელი არავის უტარებია. ზაქარიამ სთქვა: უფალო, როგორ მეყოლოს ძე? ჩემი მეუღლე უნაყოფოა, მეც სიბერის ხანში გადამდგარვარ. ღმერთმა ჰსთქვა: ასე იქმნეს. შენმა უფალმა ჰსთქვა: ჩემთვის ადვილია. მე გაგაჩინე, როცა არაფერი იყავ. უფალო, მომეც ნიშანი რამ საბუთად მისა, რასაც მპირდები. ნიშნად ეს გექმნეს: ხალხს ვეღარ დაელაპარკო სამ დღესა, თუმცა კარგად იქმნე. ზაქარია საკურთხევლით მიიქცა ხალხისკენ და ანიშნებდა, ღმერთი ექოთ დილას და საღამოს. (19-ე სურა, 1-12-ე მუხლები)

ალაჰმა მარიამი ყველა ქალს შორის გამოარჩია

მარიამი ყველაზე კეთილშობილი მორწმუნე იყო, რომელმაც თავისი თავი უფალს მიუძღვნა. მან მთელი თავისი ცხოვრება უფლის მიმართ ლოცვასა და ვედრებაში გაატარა. უფალმა მარიამი ისევე გამოარჩია სხვა ადამიანებისგან, როგორც იმრანის მთელი ოჯახი. ღმერთმა იზრუნა, რომ მარიამს საუკეთესო განათლება მიეღო, ბოროტებისგან დაცული და სხვა ქალებისგან განსხვავებული ყოფილიყო. ალაჰი მასზე ასე საუბრობს:

„ერთხელ ანგელოზებმა მარიამს უთხრეს: ღმერთმა ამოგარჩია, ყოველის მწიკვლისაგან გაგცალა, ქვეყნის ყველა ქალებში ამოგარჩია. მარიამ! სათნო იქმენ შენის უფლისა; განერთხ და მუხლი მოიყარე მის წინაშე მათთან ერთად, რომელნიც მუხლს მოიყრიან.“ (3-ე სურა, 37-38-ე მუხლები)

მარიამის სამაგალითო უმწიკვლოება

მარიამმა, ისევე როგორც მისი ოჯახის ყველა წევრმა, საზოგადოებაში სახელი ალაჰისადმი და სარწმუნოებისადმი ერთგულებით, რელიგიურობით, უმწიკვლოებითა და გულახდილობით გაითქვა. ალაჰი მას შემდეგნაირად მოიხსენიებს:

რა ჩინებული მსახური!
ღვთისადმი მოქცევა უყვარდა.
(38-ე სურა, 29-ე მუხლი)

ჩვენს წინაშე არიან იგინი
უპირატეს რჩეულთა შორის.
(38-ე სურა, 47-ე მუხლი)

ჯოვანი ბელინის ნახატი „მადონა წმინდანებთან“, 1505 წ. ვენეციის წმინდა ზაქარიას ეკლესიის საკურთხევლი. შესრულებულია ზეთის საღებავებით. 402*273 სმ. ტილოზე უფრო მოგვიანებით გადმოიტანეს.

ხოლო მარიამს, იმრამის ასულსა, რომელმაც თავისი ქალწულობა დაიცვა, შთავბერეთ ჩვენის სულის ერთი ოდენ ნაწილი, იგი ერწმუნა უფლის სიტყვებსა, მის წიგნებსა. ხოლო იყო იგი ღვთიან გვამთაგანი.“ (66-ე სურა, 12-ე მუხლი)

„მოიგონე აგრეთვე ქალი იგი, რომელმაც დაიცვა თავისი ქალწულობა და რომელსაც შთავბერეთ ნაწილი ჩვენის სულისა. დავადგინეთ იგი და მასთან ძე მისი სასწაულოად მსოფლიოსათვის.“ (21-ე სურა, 91-ე მუხლი)

მარიამი ჯებრაილს ხვდება

მარიამი თავისი ცხოვრების განმავლობაში უამრავი სასწაულის მომსწრე გახდა. ერთ-ერთი სასწაული მისი ჯებრაილთან შეხვედრა იყო. ერთხელ, როდესაც მან ოჯახი და საზოგადოება მიატოვა და შორეული აღმოსავლეთისკენ წავიდა, გზად ჯებრაილს შეხვდა. ანგელოზი მას კარგი გარეგნობის მქონე მამაკაცის სახით გამოეცხადა:

„ყურანში უთხრობდე მარიამისთვის, თუ რანაირად განეშორა იგი თავისს სახლობასა და აღმოსავლეთისკენ წავიდა. პირბადე გაიკეთა და თვალით ვეღარ დაინახეს. ჩვენ მოუვლინეთ მას ჩვენი სული. მის წინაშე წარდგა შვენიერის მამაკაცის სახედ.“ (19-ე სურა, 16-17-ე მუხლები)

ისე რომ კაცის ვინაობა არ იცოდა, მარიამი ალაჰის ყოვლისშემძლეობას მიენდო და უცნობს მაღალი ღმერთის სახელით დახმარება სთხოვა: **„ქალმა უთხრა კაცსა: შემწყნარებლის წინაშე თავშესაფარს ვეძიებ შენგან. თუ გეშინია.“** (19-ე სურა, 18-ე მუხლი) ეს სიტყვების ამტკიცებს, რომ მარიამს ალაჰის ჭეშმარიტად სწამდა და ამავდროულად ღვთისადმი მის ერთგულებასა და პატივისცემასაც უსვამს ხაზს. ამ სიტყვებით მას მხოლოდ თავისი რწმენა არ გამოუხატავს, მარიამმა ღვთის მორჩილებისაკენ უცნობსაც კი მოუწოდა.

ჯებრაილმა თავისი თავი შემდეგნაირად გააცნო მარიამს: **„შენის უფლის მიერ მოვლინებული ვარ, რათა შეგძინო ძე წმინდა.“** (19-ე სურა, 19-ე მუხლი)



„მას ეწოდოს მესია, იესო, მარიამის
ძე, უჩინებულესი სააქაოსა და
საიქიოს და ღვთის მოყვასთაგანი.“
(3-ე სურა, 40-ე მუხლი)

„ანგელოზებმა მარიამს უთხრეს: ღმერთი გახარებს თავისს სიტყვას. მას ეწოდოს მესია, იესო, მარიამის ძე, უჩინებულესი სააქაოსა და საიქიოს და ღვთის მოყვასთაგანი.“ (3-ე სურა, 40-ე მუხლი)

მარიამმა უპასუხა: **„როგორ თუ ძე შემეძინოს, მიუგო ქალმა?**

ლორენცო ლოტოს ნახატი „მადონა და იესო წმინდა პეტრესთან, წმინდა კქრისტინესთან, წმინდა ლიბერალესთან და წმინდა ჯერომესთან ერთად,“ 1505-06წწ. გამოსახულია მარიამი და წმინდანები. იტალიის, ქალაქ ტრევისლოს წმინდა კრისტინას ე ეკლესიის ფრესკა. ხეზე ზეთის საღებავით შესრულებული ნახატის ზომა 177*162 სსანტიმეტრია

მამაკაცი არ შემხებია და არც ქალი ვარ გარყვნილი“. (19-ე სურა, 20-ე მუხლი) ეს სიტყვებიც მისი სიწმინდის დასტურია. ჯებრაილმა მიუგო:

„ანგელოზმა სიტყვა ჩამოართვა: ღმერთმა ისე გააჩინოს, როგორც ინებოს. იტყვის: იყავ და იგიც იქმნებაო.“ (3-ე სურა, 42-ე მუხლი)

„კაცმა მიუგო: ასე იქმნეს; შენმა უფალმა ბრძანა: ჩემთვის ადვილია. იგი იქმნეს ჩვენ სასწაულად ერის წინაშე და ჩვენის მოწყალების დასამტკიცებლად. წინასწარ განგებულება წარმოითქვა. ქალი ყრმაზე ფეხმძიმედ შეიქმნა და შორე ადგილს ილტვოდა.“ (19-ე სურა, 21-22-ე მუხლები)

ალაჰის ნებით, მარიამი შუამავალ იესოზე ისე დაფეხმძიმდა, რომ ქალწული იყო. იგი ამქვეყნისათვის უჩვეულო გზით დაორსულდა. შუამავალი იესო ღვთის ნებით ჩაისახა და მისი შემდგომი ცხოვრებაც აღსავსე იყო უფლის მიერ მოვლინებული სასწაულებით.

იაჰია! ეს წიგნი აიღე მტკიცის განზრახვით. იაჰიას სიბრძნე მოვჰმადლეთ, როცა ჯერ კიდევ ყრმა იყო, აგრეთვე სიწმინდე და სიმშვიდე. იგი იყო ღვთისნიერ და კეთილ თავის მშობელთა მიმართ. მძლავრ და მეშფოთარ როდი ყოფილა. მშვიდობა იყოს მის თავსა იმ დღეს, როცა დაიბადა, იმ დღესაც, როცა მოკვდეს, იმ დღესა, როცა აღდგენილ იქნეს! მუჰჰამად! ყურანში უთხრობდე მარიამისთვის, თუ რანაირად განეშორა იგი თავისს სახლობასა და აღმოსავლეთისკენ წავიდა. პირბადე გაიკეთა და თვალით ვეღარ დაინახეს. ჩვენ მოუვლინეთ მას ჩვენი სული. მის წინაშე წარდგა შვენიერის მამაკაცის სახედ. ქალმა უთხრა კაცსა: შემწყნარებელის წინაშე თავშესაფარს ვეძიებ შენგან. თუ გეშინია... მიუგო: შენის უფლის მიერ მოვლინებული ვარ, რათა შეგძინო ძე წმინდა. როგორ თუ ძე შემეძინოს, მიუგო ქალმა? მამაკაცი არ შემხებია და არც ქალი ვარ გარყვნილი. კაცმა მიუგო: ასე იქმნეს; შენმა უფალმა ბრძანა: ჩემთვის ადვილია. იგი იქმნეს ჩვენს სასწაულად ერის წინაშე და ჩვენის მოწყალების დასამტკიცებლად. წინასწარ განგებულება წარმოითქვა. ქალი ყრმაზე ფეხმძიმედ შეიქმნა და შორე ადგილს ილტვოდა. მშობიარობის ტკივილმა შეიპყრო ერთ ინდის ხურმის ხესთან. ხმა ჰყო: ღმერთმა ინებოს, უწინამც მოვკვდე და საუკუნოს დავიწყებით დავიწყებულ ვიქმნე! ვიღაცამ დაიძახა მის ახლო: ნუ ჰსწუხარ: შენმა უფალმა ფეხთ გიდინა წყარო. გაანძრიე ინდის ხურმის შტო, მწიფე ინდისხურმა ჩამოგიცვივა. ჭამე და სვი და ინუგეშე. ხოლო თუ კაცი ნახო უთხარი: ყრმა შევწირე მოწყალესა; დღეს არა კაცს ველაპარაკები.“ (19-ე სურა, 13-27-ე მუხლები)

მარიამის განმარტოება

ალაჰი ყურანში ამბობს: **ქალი ყრმაზე ფეხმძიმედ შეიქმნა და შორე ადგილს ილტვოდა.“** (19-ე სურა, 21-22-ე მუხლები) მოშორებულ ადგილას განმარტოებულ მარიამს, ალაჰი მუდამ გვერდით ედგა და ყველაფრისგან იცავდა. უფლის მეოხებით ორსულობის განმავლობაში მარიამს მატერიალური და ფსიქოლოგიური უსიამოვნებები არ შეჰქმნია.
აშკარაა, რომ მარიამმა თავისი საზოგადოება მრავალი მიზეზის გამო მიატოვა. ალაჰმა ის ხალხის კრიტიკას აარიდა, რადგანაც მათ მარიამის სასწაულებრივი მდგომარეობა არ ესმოდათ. ეს ფაქტორი კი მისი ორსულობის მშვიდად და უსაფრთხოდ ჩავლას შეუშლიდა ხელს. მოგვიანებით, ღმერთმა მორიგი სასწაული მოუვლინა კაცობრიობას, რომლის მეშვეობითაც მარიამის გარშემო მოარული ჭორები აღმოფხვრა და მას პატიოსანი ქალის სახელი აღუდგინა.

შუამავალი იესოს დაბადება და უფლის მხარდაჭერა

ალაჰი მარიამს ორსულობის პერიოდში გამუდმებით მხარში ედგა. სამედიცინო მოწყობილობისა და ბებიაქალის დახმარების გარეშე,
ქალისთვის სრულიად მარტო მშობიარობა რთული და სიცოცხლისათვის სახიფათოა. მიუხედავად ამისა, მარიამმა თავისი ბედი მთლიანად ალლაჰს მიანდო და მისი წყალობით ყველა სიძნელე დასძლია. სამშობიარო ტკივილებით შეწუხებული მარიამი ფინიკის ხეზე იყო მიყრდნობილი, როცა მას უფლის ხმა შემოესმა. ღმერთმა მარიამს უთხრა, რომ მწუხარებას არ მისცემოდა. მის ფეხთით ამოხეთქილი წყაროს წყალი დაელია და ფინიკის ხე შეერხია, რათა მწიფე ნაყოფი ძირს ჩამოცვენილიყო. უფალმა მას უთხრა, თვალებიდან სიხარულს უნდა ასხივებდეო. ცოტა ხანში მარიამმა ძალზე უმტკივნეულოდ იმშობიარა. ალლაჰი ამ სიტუაციას ასე აღწერს:

მშობიარობის ტკივილმა შეიპყრო ერთ ინდის ხურმის ხესთან. ხმა ჰყო: ღმერთმა ინებოს, უწინამც მოვკვდე და საუკუნოს დავიწყებით დავიწყებულ ვიქმნე! ვიღაცამ დაიძახა მის ახლო: ნუ ჰსწუხარ: შენმა უფალმა ფეხთ

გიდინა წყარო. გაანძრიე ინდისხურმის შტო, მწიფე ინდისხურმა ჩამოგიცვივა. ჭამე და სვი და ინუგეშე. ხოლო თუ კაცი ნახო უთხარი: ყრმა შევწირე მოწყალესა; დღეს არა კაცს ველაპარაკები.“ (19-ე სურა, 13-27-ე მუხლები)

ამ სურებიდან ნათლათ ჩანს, რომ ალაჰი მარიამს ეხმარებოდა და იცავდა. უფლის მიერ მშობიარესთვის მიცემული რჩევის უპირატესობა თანამედროვე მეცნიერებამაც დაამტკიცა. ამ რჩევას ახლა შედარებით დაწვრილებით განვიხილავთ.

მწუხარებას ნუ მიეცემით

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მარიამმა თავისი საზოგადოება მიატოვა, რათა ორსულობის პერიოდს მშვიდ გარემოში ჩაევლო და იმ ადამიანების უგულო საქციელს მოშორებოდა, რომლებსაც მისი სასწაულებრივი მდგომარეობის გაგება არ შეეძლოთ.

ალაჰმა მარიამს უთხრა, რომ მწუხარებას არ მისცემოდა და ქალი თავისი მოწყალე ფრთის ქვეშ შეიფარა. აშკარაა, რომ ეს რჩევაც ისევეა სიბრძნით აღსავსე, როგორც საზოგადოების მიტოვება და მოშორებულ ადგილას განმარტოება. მორწმუნე, მწუხარებას არ უნდა დანებდეს. იგი ალაჰს უნდა მიენდოს, სულიერად დამშვიდდეს და არ უნდა დაავიწყდეს, რომ ღმერთი მას ყოველთვის დაეხმარება.

ასეთი სახის ქმედება, ყველა მორწმუნეს მოეთხოვება. თანამედროვე მედიცინამ დაამტკიცა, რომ ეს აუცილებელია. ექიმები ქალებს ურჩევენ, რომ ორსულობის პერიოდშიც და მშობიარობის დროსაც მშვიდ გარემოში იყვნენ და მწუხარებასა და სტრესს თავი აარიდონ. მარიამისთვის მიცემული უფლის რჩევა – თვალებიდან სიხარულს უნდა ასხივებდეო – იმას ნიშნავს, რომ ქალი მწუხარებას არ უნდა მისცემოდა და ალაჰის საჩუქრით ბედნიერი ყოფილიყო

„ღმერთმა მათ გაუგონოს და უთხრას: ერთი ნამოქმედარიც არ დაიღუპოს არავის თქვენგანისა, არც კაცისა, არც ქალისა. ქალები კაცთაგან წარმოდგნენ.“ (3-ე სურა, 194-ე მუხლი)

მიირთვით ფინიკი

ალაჰმა მარიამს ახლად დაკრეფილი ფინიკის ჭამა ურჩია. დღესდღეობით ფინიკს საკვებადაც იყენებენ და წამლის სახითაც. მეცნიერებმა ახლა უკვე იციან, რომ ფინიკი დაახლოებით ათ ისეთ ელემენტს შეიცავს, რომელსაც ადამიანის ჯანმრთელობისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.

ფინიკი უამრავ ადვილად მოსანელებელ შაქარს შეიცავს, რომლებიც ადამიანის სხეულისთვის სითბოსა და ენერგიის წყაროს წარმოადგენს. რაც უფრო მთავარია, ეს შაქრები ფრუქტოზას ტიპისაა და არა გლუკოზას ტიპის, ეს უკანასკნელი კი სისხლში შაქრის დონის სწრაფ აწევას იწვევს. ფინიკი უზრუნველყოფს ენერგიის წარმოქმნას, ხელს უწყობს კუნთების ჩამოყალიბებასა და ნერვული უჯრედების წარმოქმნას. ეს ხილი საკმაოდ მაღალკალორიულია და განსაკუთრებით სასარგებლოა ავადმყოფებისთვის და ისეთი ადამიანებისთვის, რომლებსაც მუდმივი გადაღლილობა აწუხებთ. მაგალითისთვის, 100 გრამი ფინიკი 1,5 გრამ პროტეინს და 50 გრამ ნახშირწყლებს შეიცავს. საერთო ჯამში კი მისი ენერგეტიკული ღირებულება 225 კალორიაა. ახლად დაკრეფილ ფინიკში 60-65% შაქარი და 2% პროტეინებია.

თანამედროვე მედიცინამ დაამტკიცა, რომ ფინიკი განსაკუთრებით სასარგებლოა მშობიარე ქალებისთვის. ექიმები ფეხმძიმე ქალებს ურჩევენ, რომ მშობიარობის წინა პერიოდში ფრუქტოზით მდიდარი საკვები მიიღონ. ასეთი საკვები იმ სახის ენერგიის წარმოქმნას უწყობს ხელს, რომელიც დასუსტებულ სხეულს ძალების აღდგენაში ეხმარება. ფრუქტოზა ასევე აუცილებელია რძის ჰორმონების წარმოსაქმნელად. ფრუქტოზა რძის ჰორმონების წარმოქმნას უზრუნველჰყოფს. ფრუქტოზით მდიდარი საკვების მიღების შედეგად დედის რძე უფრო ნოყიერიცაა და მისი რაოდენობაც მატულობს.

აშკარაა, რომ ალაჰს მარიამისთვის ეს ბრძნული რჩევა ტყუილად არ

მიუცია. მეორე არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტი, ღმერთის მიერ პატარა ნაკადულის შექმნაა. უფალმა მარიამს წყლის დალევა ურჩია. მეცნიერების თქმით, ადამიანს არსებობა მხოლოდ წყლითა და ფინიკის მიღებითაც კი შეუძლია, რადგანაც წყალი და ფინიკი ადამიანის ორგანიზმისთვის საჭირო ყველა საჭირო ნივთიერებას

შეიცავს.[2] ამ სფეროში ერთ-ერთი გამოცდილი სპეციალისტი, დოუსონი ამტკიცებს, რომ დღეში ერთი ჭიქა რძისა და ერთი ფინიკის მიღება სრულებით საკმარისია საკვების მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.[3]

ფინიკი დიდი რაოდენობით შეიცავს სხვა და სხვა სახის ვიტამინებსა (ბეტა-კაროტინი, ბე1, ბე2, ბე3 და ბე6) და მინერალებს (მარილები, კალიუმი, კალციუმი, მაგნიუმი, ცილები, რკინა, თუთია, ფოსფორი, ქლორი). ის ასევე მდიდარია ცილებით, ცხიმებით და პროტეინებით. ახლა შევეცდებით განვმარტოთ, თუ რატომ არის ეს ხილი განსაკუთრებით სასარგებლო:

ფინიკის საკვები ღირებულება მასში შემავალ მინერალებს შორის არსებული ბალანსით არის განპირობებული. ორსულები ფიზიოლოგიურ ცვლილებებს განიცდიან, მათ ხშირად სტანჯავთ ტოქსიკოზი, ეს ყველაფერი კი კალიუმის ნაკლებობით არის გამოწვეული და მისი მარაგის შევსება ორგანიზმისთვის აუცილებელია. ფინიკი კი დიდი რაოდენობით კალიუმს შეიცავს და ამავდროულად, ორგანიზმს გაუწყლოებისაგანაც იცავს.

„ყოველი კეთილი, რომლითაც ჰსტკბებით, მისგან მოდის. უბედურება თუ რამ გეწიათ, მას მიმართავთ თქვენის ვედრებითა.“ (16-ე სურა, 55-ე მუხლი)

რკინა სისხლის წითელი უჯრედების მიერ ჰემოგლობინის სინთეზს უწყობს ხელს. ეს კი ორსულობის პერიოდში ანემიის თავიდან აცილებას უზრუნველჰყოფს და სისხლში ერითროციტების ბალანსს არეგულირებს, რაც ასე აუცილებელია ნაყოფის განვითარებისთვის. ამ ხილში რკინის შემცველობა დიდია, ამიტომ ერთნახევარი ფინიკი სრულებით საკმარისია, რომ ადამიანის ორგანიზმმა საჭირო რაოდენობის რკინა მიიღოს და რკინის უკმარისობით გამოწვეული უსიამოვნებებიც აიცილოს თავიდან.

კალციუმი და ფოსფორი ძალზე მნიშვნელოვანი ელემენტებია ჩონჩხისა და ძვლების ჩამოყალიბების თვალსაზრისით. ფინიკი, თავისი საკვები ღირებულების გამო და მასში დიდი ოდენობით შემავალი ფოსფორის, კალციუმის და რკინის წყალობით ადამიანის სხეულს ანემიისა და სხვა ასეთი სახის დაავადებების წარმოქმნისგან იცავს.

მეცნიერების თქმით ფინიკს სტრესისა და დაძაბულობის მოხსნაც შეუძლია. ბერკელის ინუვერსიტეტში ჩატარებულმა კვლევამ ცხადჰყო, რომ ფინიკი დიდი რაოდენობით შეიცავს ვიტამინ **B**1-სა (ნერვული ვიტამინი) და მაგნიუმს (კუნთების ფუნქციონირებისთვის აუცილებელი მინერალი). ჯანსაღი ნერვული სისტემის ფორმირებისთვის კი ორივე მათგანი აუცილებელია. მაგნიუმი თირკმელების ფუნქციონირებისთვისაც აუცილებელია. დღეში ორი-სამი ფინიკის მირთმევა სრულებით საკმარისია, რათა ადამიანის ორგანიზმის მაგნიუმის მარაგი ბოლომდე შეივსოს.[4]

ფინიკი ასევე შეიცავს ფეხმძიმე ქალებისთვის აუცილებელ ფოლის მჟავას (ვიტამინი **B9**). ეს ვიტამინი სისიხლის ახალი უჯრედების ფორმირებას, ამინომჟავების წარმოქმნას და უჯრედების გამრავლებას უწყობს ხელს. ფეხმძიმე ქალს კი ჩვეულებრივზე ორჯერ მეტი ამინომჟავები სჭირდება. ამინომჟავების დონის მკვეთრი დაწევისას, ყალიბდება დიდი, მაგრამ ნაკლებად ფუნქციონირებადი წითელი უჯრედები და ორგანიზმს ანემიის წარმოქმნის საშიშროება ემუქრება.

ამინომჟავა ერთადერთი ნივთიერებაა, რომელიც ორსულმა ქალმა გაორმაგებული რაოდენობით უნდა მიიღოს, რადგანაც მას გადამწყვეტი როლი აკისრია გენოფონდისა და დე-ენ-ემის ფორმირებაში.

ფეხმძიმობის პერიოდში ქალს განსაკუთრებით დიდი რაოდენობით სჭირდება ვიტამინი **A**. ფინიკი კი მართლაც უხვად შეიცავს ბეტა-კეროტინს, ანუ ვიტამინ **A**-ს.[5]
ხილის სხვა სახეობებში პროტეინის შემცველობა გაცილებით დაბალია, ფინიკი კი, შეიძლება ითქვას, რომ პროტეინის საბადოა.[6]

ოქსიტოცინი მედიცინაში ფართოდ გამოიყენება და მას მშობიარობის დამაჩქარებლის ფუნქცია აქვს. იგი ასევე დედის რძის რაოდენობის ზრდასაც განაპირობებს.[7]
ჩვენი შუამავალი ფინიკის უპირატესობაზე ერთ-ერთ ჰადისშიც საუბრობს: ოჯახი, რომელსაც ფინიკი მოჰყავს, არასოდეს იშიმშილებს.[8] ეს ბრძნული რჩევა მართლაც ყურადსაღებია.
ჩვენ მიერ მოწოდებული ფინიკთან დაკავშირებული ინფორმაცია ცხადჰყოფს, რომ ალაჰმა მარიამს ბრძნული რჩევა მისცა და მასზე მოწყალება გაიღო. მარიამმა უფლის რჩევა შესრულა, საკვები მოთხოვნილებაც დაიკმაყოფილა და მშობიარობაც გაუდვილდა. (ალლაჰი ყველაფრის მცოდნეა)

ღმერთმა მარიამს ფინიკის ჭამა,
ამ ხილში შემავალი
ვიტამინებისა
და მინერალების გამო ურჩია

ალლაჰმა ნაკადული შექმნა

ღმერთმა მარიამს უთხრა, რომ მის ფეხთით ნაკადული გააჩინა, რათა ქალს ეჭამა, წყალი დაელია და პირი-სახე დაებანა.
წყალი, ისევე როგორც ფინიკი, სამშობიარო ტკივილებს და კუნთების დაძაბულობას არეგულირებს. ზოგიერთ თანამედროვე სამშობიაროებში წყლით სავსე აუზებიც აქვთ, რომლებშიც ექიმები მშობიარობის პროცესს ატარებენ
წყალი სიცოცხლისთვის და ადამიანის ჯანმრთელობისთვის ძალზე მნიშვნელოვანი ელემენტია. ის არეგულირებს ადამიანის სხეულის ტემპერატურას, საკვები ელემენტების და ჟანგბადის სისხლში ტრანსპორტირებას უწყობს ხელს და გადამუშავებული ნარჩენები ორგანიზმიდან გამოჰყავს. ის ასევე უზრუნველყოფს სახსრების ჯანსაღად მოძრაობას, კანის ელასტიკურობასა და სინოტივეს, დაზიანებისგან იცავს საჭმლის მომნელებელ სისტემას, თირკმელებსა და სხვა შინაგან ორგანოებს. წყლის თერაპია დღითი დღე სულ უფრო და უფრო ფართოდ ინერგება. წყალთან კონტაქტი ასტიმულირებს იმუნურ სისტემას, ზრდის ანტისტრესული ჰორმონის გამომუშავებას, ამცირებს ტკივილს, არეგულირებს სისხლის მიმოქცევის სისტემასა და მეტაბოლიზმს.

მშობიარობის დროს ქალი დიდი რაოდენობით სისხლს ჰკარგავს, რის გამოც სისხლში შაქრის დონე საგრძნობლად ეცემა.
ფინიკში შაქრის შემცველობა 50 პროცენტია, მისი კვებითი ღირებულება მაღალია და სრულებით აკმაყოფილებს ადამიანის მოთხოვნილებას

ორსულობის დროს ქალმა წყალი რეგულარულად უნდა მიირთვას. ამ დროს წყლის მიღება განსაკუთრებით აუცილებელია, რადგანაც სისხლის მიმოქცევის მოცულობა მატულობს. მას ასევე სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ბავშვის განვითარებისთვის. ქალებმა, რომელებიც თავიანთი შვილების ბუნებრივად გამოკვებას აპირებენ, წყალი დიდი რაოდენობით უნდა დალიონ, რათა საჭირო რაოდენობის რძე ჰქონდეთ. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ დედის რძის 87 პროცენტი წყალია, მივხვდებით, რომ ამ ელემენტს ოგრანიზმისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.

წყალი ასევე არეგულირებს სისხლის ბალანსს დედისა და შვილის ორგანიზმში. ორსულობის დროს გამოყოფილი ჰორმონების ცვლილება სწორედ სხეულში არსებული სითხის მოხმარებაზეა დამოკიდებული. ორსულობის პერიოდის ბოლოს,

„კაცნო! მოიგონეთ სიკეთე, რომლითაც ღმერთმა აგავსოთ; განაა სხვა შემოქმედი თვინიერ ღვთისა ისეთი, რომ გასაზრდოოსთ ცისა და ქვეყნის ნიჭთაგან? სხვა ღმერთი არა არის თვინიერ მისა. რადღა არიდებთ პირსა?“ (35-ე სურა, 3-ე მუხლი)

სისხლის მოცულობა 150 პროცენტით იზრდება და ქალის ორგანიზმი სუნთქვის დროს გაცილებით მეტ წყალს კარგავს. წყლის გარსი, რომელშიც ბავშვი იზრდება, ყოველ სამ საათში ერთხელ განიცდის განახლებას. არასაკმარისი წყლის მიღების გამო,

ორგანიზმი გაუწყლოვდება და ეს გარსი შეიძლება სერიოზულად დაზიანდეს.
ორსულობის დროს ორგანიზმის გაუწყლოებამ შეიძლება ნაადრევი მშობაირობაც კი გამოიწვიოს. ამ დროს გამოყოფილი ჰორმონები სამშობიარო ტკივილებს ამძაფრებს. ისეთ ქალებისთვის, რომლებსაც ნაადრევი მშობაირობა ემუქრებათ, სხვა და სხვა სახის სითხე ვენაში შეჰყავთ. ეს პროცედურა წყლის მიღების აუცილებლობას ერთხელ კიდევ უსვამს ხაზს. ნაადრევი მშობიარობის თავიდან აცილების მიზნით სითხით მკურნალობა საკმაოდ გავრცელებული მეთოდია.
წყალი ასევე აყალიბებს ადამიანის ორგანიზმის ტრანსპორტირების სისტემას. სისხლის მიმოქცევა ემბრიონს ჟანგბადითა და საკვები ნივთიარებებით ამარაგებს და ისეთი ინფექციების თავიდან აცილებას უზრუნველჰყოფს, რომლებსაც მუცლის მოშლა და ნაადრევი მშობიარობის გამოწვევა შეუძლია. წყლის რეგულარული მიღება ფეხმძიმე ქალს ასეთი ინფექციებისგან იცავს.[10]

„ღმერთმა მორწმუნეთაგან იყიდა მათი ქონება და მათი კაცები, რათა სამაგიეროდ მათთვის სამოთხე მიეცა.“ (9-ე სურა, 112-ე მუხლი)

„მოიგონეთ ღვთის
კეთილმოქმედება, რათა ნეტარ
იყვნეთ.“ (7-ე სურა, 67-ე მუხლი)

ექიმები თავიანთ პაციენტებს აფრთხილებენ, რომ ფეხმძიმობის პერიოდში წყალზე მოთხოვნილება 50 პროცენტით იზრდება. არასაკმარისი რაოდენობის წყლის მიღების გამო, ორგანიზმი სხვა და სხვა სითხის ნაკლებობას განიცდის. საერთო ჯამში კი, ეს ყველაფერი მრავალ უსიამოვნებას იწვევს.[11]
თანამედროვე მეცნიერება ერთხელ კიდევ ამტკიცებს ალაჰის სიბრძნეს. მან მარიამისთვის ნაკადული შექმნა და მშობიარე ქალს ფინიკის ჭამა და წყლის დალევა ურჩია. ეს ყველაფერი ღმერთის ყოვლისმცოდნეობას უსვამს ხაზს.

მარიამი ფინიკის ხეს არხევს

სამშობიარო ტკივილებით შეწუხებულ ქალს ალაჰმა ფინიკის ხის შერხევა ურჩია. (19-ე სურა, 25-ე მუხლი)
ექიმები ამბობენ, რომ სამშობიარო ტკივილების დროს, რაიმე ნივთის სხეულისკენ ძლიერად მოზიდვა დადებითად მოქმედებს კუნთებზე. სამშობიარო ტკივილების შემსუბუქების და მშობიარობის პროცესის უსაფრთხოდ ჩავლის მიზნით, ქალებს სპეციალური სავარჯიშოების გაკეთებას ურჩევენ. ვარჯიში დადებითად მოქმედებს ქალზე, რის გამოც მშობიარობის პროცესი გაცილებით უფრო უმტკივნეულოდ მიმდინარეობს. ასევე მიჩნეულია, რომ მშობიარობის წინ აქტიური მოძრაობა მშობაირობას აჩქარებს.[12]



„მან უთხრას იესოს, მარიამის ძეს: მოიგონე კეთილ მოქმედება, რომელიც მოვიღე შენზე და დედაშენზე...“ (5-ე სურა, 109-ე მუხლი)

ექიმებს მიაჩნიათ, რომ მშობიარობის პროცესის მეორე ეტაპზე ქალს თავი წამოწეული უნდა ჰქონდეს, რათა მიზიდულობის ძალა დასძლიოს. საავადმყოფოების სამშობიარო პალატებში სამშობიარო მაგიდებს სახელურები და ფეხების დასაწყობი საყრდენები აქვს. ასეთ კომფორტულ მდომარეობაში მყოფ ქალს გაცილებით უფრო უმარტივდება მშობაირობა.
ზოგიერთი სპეციალისტი თავიანთ პაციენტებს სპეციალურ სამშობიარე სკამის გამოყენებით მშობიარობას ურჩევს. სანამ ასეთი ტექნოლოგია გამოჩნდებოდა, მშობიარე ქალები ჭერზე თიკით ჩამოკიდებულ სკმაზე სხდებოდნენ და საკუთარი თავის ზემოთ აწევას ცდილობდნენ, ეს მათ მშობიარობის პროცესის დაჩქარებაში ეხმარებოდა. ყველა ეს მეთოდი თეორიულადაც და ლოგიკურადაც ძალზე მოხერხებულია.[13] შეიძლება სწორედ ამიტომ ურჩია ალაჰმა მარიამს ფინიკის ხის შერხევა. (ალაჰი ყოვლის მცოდნეა)

მარიამი თავის საზოგადოებას უბრუნდება

როდესაც მარიამი შუამავალ იესოსთან ერთად დაუბრუნდა თავის საზოგადოებას, ხალხმა ალაჰის მიერ მოვლინებული სასწაული ვერ გაიგო. მარიამი იმრანის ოჯახის წევრი იყო. იგი ალაჰის ერთგული, ღვთის მოშიში და მორჩილი, სუფთა ბუნების მქონე ქალი გახლდათ. ეს ყველამ მშვენივრად იცოდა, მაგრამ მას უწესოებაში მაინც დასდეს ბრალი და მრავალი ჭორი მოუგონეს. ალაჰი ცილისმწამებლებზე შემდგენაირად საუბრობს:

„ვინც იწამონ და კეთილი ჰქმნან, ღმერთმა წარმართოს იგინი, მათის სარწმუნოებისამებრ, ჭეშმარიტს გზასა. ფეხთ წყალი უდიოდესთ სალხინო წალკოტში.“ (10-ე სურა, 9-ე მუხლი)

„შინ მივიდა, ყრმა ხელთ ეჭირა. უთხრეს: მარიამ! საოცარი საქმე დაგმართვია. აარონის დაო! მამაშენი არ ყოფილა კაცი ბოროტი, არც დედაშენი ქალი გარყვნილი.“ (19-ე სურა, 28-29-ე მუხლები)

აშკარაა, რომ მიუხედავად მარიამის პატიოსნებისა, ღვთისადმი მორჩილებისა და ერთგულებისა, ეს მისთვის მაინც დიდი გამოცდა იქნებოდა. ამ ხალხმა არად ჩააგდო მარიამის სუფთა ბუნება, ღირსეული ქცევა, მისი და მისი ოჯახის რეპუტაცია, ამიტომ იმაში დარწმუნებული მარიამი, რომ ღმერთი მას ყველაფერში დაეხმარებოდა და ყოველთვის დაიცავდა, მთლიანად ალაჰს მიენდო.

მარიამის დუმილის აღთქმა

ალაჰი მარიამის ვედრებას ყოველთვის ისმენდა და გასაჭირში არასდროს ტოვებდა. უფალმა მას ამ გამოცდის დროს დიდი სულიერი სიმშვიდე მიანიჭა. მარიამმა იცოდა, რომ უფალი რეპუტაციის აღდგენაში დაეხმარებოდა. უფალმა მას დუმილის აღთქმის დადება შთააგონა: **„ხოლო თუ კაცი ნახო უთხარი: ყრმა შევწირე მოწყალესა; დღეს არა კაცს ველაპარაკები.“ (19-ე სურა, 26-27-ე მუხლები).** აი, რას პასუხობდა იგი, შემხვედრ ადამიანებს.

ამის შემდეგ, როცა ხალხი მას უწესოებაში სდებდა ბრალს, მარიამი შუამავალ იესოზე მხოლოდ ხელით მიანიშნებდა და იმ სიტყვებს იხსენებდა, რომლებიც უფალმა მას ჯაბრალის საშუალებით გადმოსცა: **„ხალხს უნდა ელაპარაკოს იგი აკვნის ყრმა და დაკაცებული, და მართალთა შორის იქმნეს.“ (3-ე სურა, 41-ე მუხლი)**

ალაჰმა უდიდესი სასწაული მოუვლინა ხალხს, როდესაც ჯერ კიდევ აკვანში მყოფი შუამავალი იესო აალაპარაკა. ამ სასწაულის წყალობით, უფალმა მარიამზე მოარული ჭორები გააქარწყლდა და ყრმა იესო ალაჰის მიერ ებრაელებისთვის მოვლინებულ შუამავლად წარუდგინა:

„მარიამმა ყრმა მიუთითა, რათა დაჰლაპარაკებოდნენ: როგორ თუ აკვნის ყრმას დაველაპარაკოთო? მიუგო იესომ: ღვთის მსახური ვარ, წიგნი მომანიჭა და წინასწარმეტყველად დამადგინა. ინება, რათა კურთხეულ ვიყო ყველგან, სადაც უნდა ვიყო. მამცნო ქმნა ლოცვისა და მოწყალებისა. შეტკბობა დედიჩემისა. არ მიუშვას, მეშფოთარ და ცუდ-კაც ვიქმნე. მშვიდობა იქმნეს ჩემს თავსა იმ დღეს, როცა დავიბადე. იმ დღესაც, როცა მოვკვდე, იმ დღესაც, როცა აღდგენილ ვიქმნე. იგი იყო იესო, მარიამის ძე, ჭეშმარიტის სიტყვის მოლაპარაკე და იმის ეჭვიც კი აიღეს.“ (19-ე სურა, 30-35-ე მუხლები)

ამ სასწაულმა მარიამის თანამედროვეები გაოოგნა. **„... ქალი, რომელმაც დაიცვა თავისი ქალწულობა და რომელსაც შთავბერეთ ნაწილი ჩვენის სულისა. დავადგინეთ იგი და მასთან ძე მისი სასწაულოად მსოფლიოსათვის.“** (21-ე სურა, 91-ე მუხლი) ამ სიტყვებით ალაჰმა დედა-შვილის უპირატესობა აღნიშნა. ამ ციტატით დამარცხდა ყველა ცილისმწამებელი და ხაზი გაესვა მარიამის მტკიცე ხასიათს, ღირსებასა და პატიოსნებას.
„მარიამის ძისაგან, აგრეთვე მისის დედისაგან სასწაული ვყავით ხალხისათვის. მათ ორთავ მივანიჭეთ საცხოვრებლად ადგილი მაღალი, მყუდრო და წყაროს წყალით აღსავსე.“ (13-ე სურა, 52-ე მუხლი) ამ სურაში ღმერთი აღნიშნავს, რომ შუამავალი იესო და მარიამი მუდმივად მისი მფარველობის ქვეშ იქნებიან.

ადამიანები, რომლებიც მარიამს ცილს სწამებდნენ

ამ სასწაულმა ებრაელებს უჩვენა, რომ შუამავალი იესო და მარიამი სხვა ადამიანებისგან გამორჩეულები იყვნენ. ალლაჰი აღნიშნავს, რომ ისინი, ვინც მარიამის ცილისწამებას ისევ შეეცდებოდნენ, სასტიკად დაისჯებოდნენ:

ჯენტილ დე ფაბრიანოს ნახატი
გოთურ სტილში, გამოსახულია
მარიამი (1423 წ). საკურთხეველის
ეს ნაწინი ფლორენციის სანტა
ტრინიტას ეკლესიას სტროცების ოჯახმა შესწირა

„მარიამის წინააღმდეგ უწყლო სიცრუე მოიგონეს. ამბობენ: ჩვენ მოვკალით მესია, იესო მარიამის ძე, ღვთის მოვლინებულიო. არა, არ მოუკლავთ, ჯვარს არ უცვამთ; კაცი, რომელიც მას ჰგავდა, მის ადგილს მოიყვანეს, და ვინც ამას საცილობელს ჰყოფდნენ, თვითონ იგინი იჭვნეულობდნენ. ჭეშმარიტის ცოდნით არ იცოდნენ, მხოლოდ ზრახვას მიჰყვებოდნენ. სრულად არ მოუკლავთ.“ (4-ე სურა, 155-156-ე მუხლები)

მარიამის მტკიცე ხასიათი

მარიამი, ყველა მუსლიმანი ქალისთვის მისაბაძი უნდა იყოს, რადგანაც მან თავისი უმწიკვლო ბუნება ცხოვრების ბოლომდე შეინარჩუნა. ყურანის სიტყვებით რომ ვთქვათ, ალლაჰმა იგი აღზარდა ვითარცა მშვენიერი ყვავილი და მას უზამაზარი პასუხისმგებლობა დააკისრა. უფალმა იგი აირჩია, ისევე, როგორც იმრანის ოჯახი. ამ
ერთგულ და მორწმუნე ხალხს შორის, უფალმა მარიამი გამოარჩია და გასაოცარი ადამიანების გარემოცვაში გაზრდის ბედნიერება არგუნა.
შემდეგ უფალმა მის სულიერ და ზნეობრივ განვითარებაზეც იზრუნა და მას მასწავლებლად შუამავალი ზექერია დაუყენა. უკვე წამოზრდილ მარიამს, ალაჰი ხშირად უვლენდა სასწაულებს, რის შედეგადაც მარიამმა მისი სიდიადის, მოწყალებისა და შემბრალებლობის ირწმუნა. მარიამისთვის მოვლინებული ერთ-ერთი სასწაული ის იყო, რომ ყოველი ლოცვის შემდეგ მარიამს საკურთხეველთან ყოველთვის ხვდებოდა საჭმელი. მოგვიანებით ალაჰმა მარიამს ჯებრაილი მოუვლინა, რომელმაც მას უფლის სიტყვები გადასცა და შუამავალი იესოს ამქვეყნად მოვლინების ამბავი აუწყა.
მარიამი ალაჰისადმი ერთგულებას და მორჩილებას თავის უსაზღვრო კეთილშობილებასა და უზადო ქცევაში ავლენდა. მარიამის მიერ უფლის ღრმა და ჭეშმარიტი რწმენა იმაშიც ჩანდა, რომ იგი ყოველთვის უსიტყვოდ ემორჩილებოდა ალაჰის ნებას.
რთულ მომენტებში მარტო ყოფნა მარიამისთვის დიდი გამოცდა იყო, რადგანაც ამ დროს მისი დამხმარე და დამცველი ადამიანი გარშემო არავინ მოიძებნებოდა. ჩვეულებრივ, მარტოსული ადამიანები მწუხარებას ეძლევიან და უსუსურნი ხდებიან. მაგრამ მარიამის შემთხვევაში ასე არ ყოფილა, რადგანაც იგი ბოლომდე ალაჰზე იყო მინდობილი და მისი

„უფალი აუწყებს მათ თავისს მოწყალებასა, თავისს კმაყოფილებასა და წალკოტებსა, სადაც მუდამ ჟამს სიტკბოება იხმიონ.“ (9-ე სურა, 21-ე მუხლი)

სიმა დე კოლეგლიანოს ნახატი,
1509-1510 წწ. ნახატი შესრულებულია
იტალიის ქალაქ ვენეციის კარმინის ეკლესიის კედელზე.

ჭეშმარიტად სწამდა.

მარიამი მუდმივად გრძნობდა ალაჰის მფარველობას და იცოდა, რომ ერთადერთი რაც მას სჭირდებოდა, უფლის მორჩილება და მისი რჩევების შესრულება იყო. მიუხედავად რთული გამოცდებისა, იგი არასოდეს ვარდებოდა უიმედობასა და დეპრესიასში, რადგანაც იგი მთელი სულით და გულით ენდობოდა ალაჰს და იცოდა, რომ სირთულეებს და უსიამოვნებებს უფალი ძალიან მალე, და თანაც საუკეთესო გზით მოუღებდა ბოლოს. ასეც იყო. ალლაჰი ყოველთვის ეხმარებოდა რთულ სიტუაციაში გამოსავლის პოვნაში, მუდმივად მფარველობდა და ეხმარებოდა, მარიამის ყველა უსიამოვნო ამბავს ბედნიერი დასასრული ჰქონდა.

მარიამის დედობაც საკმაოდ დიდი გამოცდა იყო. იგი დაორსულდა და სრულიად მარტომ იმშობიარა. სრულიად მარტოსული და გამოუცდელი გოგონა პესიმიზმში არ ჩავარდა, პირიქით ამ დროს მან უდიდესი ძალა, გამძლეობა და ნებისყოფა გამოიჩინა. მარიამს იმ ადამიანებივით მშვიდი ხასიათი ჰქონდა, რომლებმაც იციან, რომ ალაჰი მათ რწმენისთვის უხვად დააჯილდოვებს. მართლაც უფალმა მარიამი უხვად დააჯილდოვა და გაჭირვების ჟამს მარტო არ მიატოვა.

მარიამის მტკიცე ხასიათის დამამტკიცებელი მეორე მაგალითი ის არის, რომ მან უდიდესი მოთმინება გამოიჩინა მასზე დაკისრებული პასუხისმგებლობის შესრულების დროს. უცოდინარი, ურწმუნო ადამიანები მის მოთმინებას ცდიდნენ და მარიამს ისეთ რამეებში ადანაშაულებდნენ, რაც მას არასოდეს ჰქონდა ჩადენილი. მაგრამ მან უფლის რწმენის დახმარებით უზარმაზარი მოთმინება გამოიჩინა. ალაჰის ყოვლიშემძლეობაში დარწმუნებულმა მარიამმა იცოდა, რომ რეპუტაციის აღდგენაში უფალი აუცილებლად დაეხმარებოდა, ამიტომ ნებისყოფას და მოთმინების უნარს მისთვის არასდროს უღალატია.

მარიამის პატიოსნებას ის ფაქტიც უსვამს ხაზს, რომ იგი ხალხის კეთილგანწყობის მოპოვებას სულაც არ ცდილობდა. მას ალაჰის ჭეშმარიტად სწამდა და ამიტომ ბოროტი ადამიანის ჭორებსა და ცილისწამებას ყურადღებას არ აქცევდა. უფლის ერთგული ეს ქალი ყოველთვის ცდილობდა ისე მოქცეულიყო, რომ ალლაჰისთვისს ესიამოვნებინა. შედეგად კი, უფალმა იგი თავისი წყალობით დააჯილდოვა.

„უფალო! მაკლდება სიკეთე, რომელსაც აქ შემახვედრეო.“ (28-ე სურა, 24-ე მუხლი)

ადამიანის კეთილშობილების დანახვა ორ რამეში შეიძლება: მის სიტყვებსა და საქციელში. კეთილშობილი ქცევა უფრო ეფექტურია და უფრო მეტად ფასობს, რადგანაც ამ დროს სიყალბის და პირფერობის დამალვა რთულია. თუ ადამიანი ღრმად მორწმუნეა, ამის დანახვა მხოლოდ მის ქცევაზე დაკვირვებით შეიძლება.

მარიამი თავისი მტკიცე ხასიათის, ღრმა რწმენისა და კეთილშობილი საქციელის გამო მისაბაძი მაგალითი გახდა ყველა მორწმუნე ქალისთვის. მისი უფლისადმი თავდადება ალაჰს უყურადღებოდ არ დარჩენია და იგი ამისათვის უხვადაც დააჯილდოვა. ადმიანები მარიამის მტკიცე ხასიათსა და სანთნო ქცევას სამაგალითოდ თუ გახიდიან, მათი რწმენა გაცილებით უფრო გაღრმავდება.

შუამავალი
იესო, ძე
მარიამისი

შუამავალ იესოს, ღმერთის ერთ-ერთ რჩეულ ადამიანს ამქვეყნადაც და იმქვეყნადაც, ხალხის ჭეშმარიტ გზაზე დაყენების პასუხისმგებლობა დაეკისრა. ღმერთი მასზე ამბობს, რომ იგი რადიკალურად განსხვავდებოდა მისი თანამედროვე ადამიანებისაგან. მაგალითად, იგი ამ ქვეყანას მამის გარეშე მოევლინა. ანგელოზმა დედამისს, მარიამს აუწყა, რომ მისი შვილი ადამანებისთვის მოვლინებული უფლის შუამავალი იქნებოდა. შუამავალი იესო განსაკუთრებული ადამიანი იყო. ყურანში მის შესახებ შემდეგი რამ წერია:

„მესია, იესო მარიამის ძე, მოციქულია ღვთისა და მისი სიტყვა, რომელიც მარიამს შთაუგდო, ღვთისაგან მომავალი სულია.“ (4-ე სურა, 169-ე მუხლი)

„ერთხელ ანგელოზებმა მარიამს უთხრეს: ღმერთი გახარებს თავისს

სიტყვას. მას ეწოდოს მესია, იესო, მარიამის ძე, უჩინებულესი სააქაოსა და საიქიოს და ღვთის მოყვასთაგანი“. (3-ე სურა, 40-ე მუხლი)

„უფლის სიტყვა“ მხოლოდ შუამავალ იესოს გადაეცა. ალლაჰმა მას იესო, მესია უწოდა და თავისი სიტყვის ხალხისადმი გადაცემა მას

„ყოველი შემწეობა ღვთისაგან მოდის, ვინადგან შემძლებელ და ბრძენია.“ (8-ე სურა, 10-ე მუხლი)

დააკისრა. მაგრამ შუამავალი სხვებისაგან გამორჩეული მხოლოდ ამ ფაქტის გამო არ ყოფილა.
მხოლოდ ყურანში, რომელზეც ღმერთი ამბობს, რომ მისი მსგავსი წიგნის დაწერას ვერავინ შეძლებს, არის მოცემული სწორი ინფორმაცია შუამავალ იესოზე. ახალი აღთქმისაგან გასხვავებით, ყურანში მოთხრობილია, რომ შუამავალი იესო არ უწამებიათ. იგი ალლაჰმა ზეცად აამაღლა და კაცობრიობას რთულ პერიოდში, უკანასკნელი დღის მოახლოვებისას მოუვლენს. ამ ფაქტს უამრავი ჰადისი ამოწმებს.
ახლა ჩვენ შევეცდებით ეს ფაქტები უფრო დაწვრილებით განვიხილოთ.

იესო არ უწამებიათ

შუამავალი იესოს დაპატიმრებაში ბრალი რომაელ ჯარისკაცებსა და ებრაელ რაბინებს მიუძღვით. მათი თქმით შუამავალი აწამეს და იგი ჯვარზე გაკვრის შედეგად გარდაიცვალა. ქრისტიანები ამ ვერსიას ემხრობიან და იმასაც აღნიშნავენ, რომ წამების შემდეგ იგი მკვდრეთით აღსდგა, მოგვიანებით კი ზეცად ამაღლდა. ყურანში ეს ამბავი სულ სხვაგვარად არის მოთხრობილი:

„ამბობენ: ჩვენ მოვკალით მესია, იესო მარიამის ძე, ღვთის მოვლინებულიო. არა, არ მოუკლავთ, ჯვარს არ უცვამთ; კაცი, რომელიც მას ჰგავდა, მის ადგილს მოიყვანეს, და ვინც ამას საცილობელს ჰყოფდნენ, თვითონ იგინი იჭვნეულობდნენ. ჭეშმარიტის ცოდნით არ იცოდნენ, მხოლოდ

ზრახვას მიჰყვებოდნენ. სრულად არ მოუკლავთ.“ (4-ე სურა, 156-ე მუხლი)

„ღმერთმა აღიტაცა თავისდამი და ღმერთიც შემძლე და ბრძენია.“ (4-ე სურა, 156-ე მუხლი)

სიტყვები **„კაცი, რომელიც მას ჰგავდა“** ცხადჰყოფს, რომ იგი არ უწამებიათ. იგი ზეცად ამაღლდა. ალლაჰი გვეუბნება, რომ იმან, ვინც ამ ამბავს სხვაგვარად ჰყვება, სიმართლე არ იცის. ადამიანებმა იმ კაცის სიკვდილი იხილეს, რომელიც შუამავალ იესოს ძალიან ჰგავდა. სინამდვილეში შუამავალი იესო ამ დროს ზეცად ამაღლდა.

შუამავალის სიკვდილი

სიტყვები, რომლითაც შუამავალ იესოს გარდაცვალებისა და სიცოცხლის ხელყოფის მცდელობის ამბავი სათაურდება, ერთმანეთისგან განსხვავდება. მათი ანალიზი კი მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის. პირველ შემთხვევაში ყურანში ნახსენებია *ქათალა* (მოკვლა), *მაატა* (გარდაცვალება), *ჰალაკა* (განადგურება), *სალაბა* (წამება) და კიდევ სხვა რამდენიმე სპეციფიკური სიტყვა. ყურანში ხაზგასმით არის ნახსენები შემდეგი ციტატა: **„არ მოუკლავთ, (ვა მა ქატალუჰუ) ჯვარს არ უცვამთ (ვა მა სალაბუჰუ).** ხალხმა შუამავლის მსგავსი ადამიანის წამებას უყურა, სინამდვილეში კი ალლაჰმა იესო თავისთან, ზეცაში აამაღლა:

„სული ამოგახდინო და ჩემდამი აგამაღლო, ურჯულოთაგან გიხსნა, ვინც შეგიდგნენ, იგინი დავსხა მათ უმაღლეს, რომელთაც არა ჰსწამთ,

აღდგომის დღემდე.“ (3-ე სურა, 48-ე მუხლი)

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შუამავალი იესო ჩვეულებრივი სიკვდილით არ გარდაცვლილა. ზემოთ მოყვანილ სურაში ნახსენები სიტყვა *ტავაფას* გაგება სხვადასხვანაირად არის შესაძლებელი:

პაოლო ვერონესის ნახატი „ნადიმი ლევის სახლში,
1573 წ. დაცულია ვენეციის აკადემიის მუზეუმში.
ტალიური რენესანსის პერიოდის ამ ტილოზე
გამოსახულია იესო და მისი მოწაფეები

„ყოველმა სულმა იგემოს სიკვდილი, შემდგომ ყველანი მოიქცეთ ჩემდამი.“ (29-ე სურა, 57-ე მუხლი)

ტავაფა: სულის ამოხდომა, ვინმეს მიძინება ან უკან გახმობა

„მე უთხარი მათ მარტო ის, რის თხრობაც მიბრძანე: თაყვანი ეცით ღმერთსა, უფალსა ჩემსა და თქვენსაო. ვიდრე ქვეყნად ვმკვიდრობდი, მათ წინააღმდეგ მოწმობა შემეძლო; ხოლო როცა შენდამი მიმიყვანე, თვალი გეჭირა მათზე, ვინაიდან ყველაფრის მოწმე ხარ.“ (5-ე სურა, 117-ე მუხლი)

ამ სურაში გამოყენებული გამონათქვამი არაბული სიტყვა ტავაფადან მოდის და ნიშნავს ვისიმეს მიძინებას, ან სულის აღმოხდომას, ან უკან გახმობას. ეს სიტყვა არ ნიშნავს მოკვლას ან სიკვდილს. ალლაჰმა იესო უკან გაიხმო, ანუ თავისთან, ზეცად აამაღლა. ეს სიტყვა სხვა სურაშიც გამოიყენება და ნიშნავს ადამიანის დიდი ხნით მიძინებას:

„ღამის განმავლობაში ძილით დაგატკბობსთ და უწყის ისიც, რაც დღისით გაგიკეთებიათ; ერთ დღეს აღგადგინოსთ, რათა წინასწარ დადებული ბორჯი შესრულდეს; შემდეგ მასთან მიიქცეთ და მაშინ ჩამოგითვალოსთ, რაც გიმოქმედიათ.“ (6-ე სურა, 60-ე მუხლი)

ალლაჰი ამბობს, რომ შუამავალი იესო არც მოუკლავთ და არც უწამებიათ, უფალმა იგი უკან გაიხმო (როგორც ეს ძილში ხდება), ხალხმა კი მისი მსგავსი ადამიანის სიკვდილი იხილა. სხვა შუამავლებთან სიტყვები *ქათალა* ან *მავტია* (სიკვდილი) ნახსენები. აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ალლაჰმა იესო მიაძინა და ასეთ



„იგი იცნობს ხილულს და უხილავ ნივთებსა, შემძლებელ, გულშემატკივარი.“ (32-ე სურა, 5-ე მუხლი)

მდგომარეობაში მყოფი აამაღლდა ზეცად. ასე რომ, შუამავალ იესოს ჩვეულებრივი მოკვდავის მსგავსად სიკვდილი არ გამოუცდია

შუამავალ იესოს დაბრუნება

შუამავალ იესოს მეორედ მოსვლაზე ბევრ სურაშია საუბარი. ქვემოთ რამოდენიმე მათგანია მოყვანილი:

1. „დიახ, სული ამოგახდინო და ჩემდამი აგამაღლო, ურჯულოთაგან გიხსნა, *ვინც შეგიდგნენ, იგინი დავსხა მათ უმაღლეს, რომელთაც არა ჰსწამთ, აღდგომის დღემდე.* ყველანი ჩემთან მოიქცეთ და თქვენი საცილობელი თქვენ შორის განვსაჯო“ (3-ე სურა, 48-ე მუხლი)

ამ სურაში საუბარია შუამავალი იესოს მიმდევრებზე. ღმერთი მათ ჰპირდება, რომ მიცვალებულების მკვდრეთით აღდგომის დღეს ისინი ურწმუნოებთან შედარებით დიდი უპირატესობით ისარგებლებენ. დღევანდელ ქრისტიანებს თუ დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ მათმა სარწმუნოებამ სახე იცვალა და ის აღარ არის, რაც შუამავალმა იესომ იქადაგა. მაგალითად ისინი ამტკიცებენ, რომ იესო ღვთის შვილი (ალლაჰი ამას კრძალავს)

და წმინდა სამებიდან ერთ-ერთია (მამა, ძე და სულიწმინდა). ალლაჰის მიერ კაცობრიობისთვის დადგენილი წესების დარღვევით, თანამედროვე ქრისტიანები უფლის ჭეშმარიტ რელიგიას ჩამოშორდნენ და მათი შუამავალი იესოს მიმდევრებად ჩათვლა დაუშვებელია. ღმერთი იმ ადამიანებზეც საუბრობს, რომლებსაც სამების სჯერათ და მათ ურწმუნოებს უწოდებს:

„ურჯულოა, ვინც ამბობს: ღმერთი მესამეა სამებისაგანო, მაშინ როდესაც არა არს ღმერთი თვინიერ ერთადერთის ღვთისა.“ (5-ე სურა, 77-ე მუხლი)

ასე რომ, შუამავალ იესოს მიმდევრებს მისი ამქვეყნად მეორედ მოსვლის უნდა სწამდეთ და განკითხვის დღეს ისინი ურწმუნოებთან შედარებით დიდი უპირატესობით ისარგებლებენ:

2. „ერთი ადამიანიც არ იქმნეს მათ შორის, ვისაც წერილი ჰსწამს, რომ არ იწამოს იგი, ვიდრე მოკვდებოდეს. აღდგომის დღეს მან (იესომ) იმოწმოს

მათ წინააღმდეგ.“ (4-ე სურა, 157-ე მუხლი)

ზემოთ მოყვანილ ციტატაში იესოზეა საუბარი, შემდეგ სურაში კი იგი პირდაპირ სახელით არის მოხსენიებული:

„ამბობენ: ჩვენ მოვკალით მესია, იესო მარიამის ძე, ღვთის მოვლინებულიო. არა, არ მოუკლავთ, ჯვარს არ უცვამთ; კაცი, რომელიც მას ჰგავდა, მის ადგილს მოიყვანეს, და ვინც ამას საცილობელს ჰყოფდნენ, თვითონ იგინი იჭვნეულობდნენ. ჭეშმარიტის ცოდნით არ იცოდნენ, მხოლოდ ზრახვას მიჰყვებოდნენ. სრულად არ მოუკლავთ. ღმერთმა აღიტაცა თავისდამი და ღმერთიც შემძლე და ბრძენია.“ (4-ე სურა, 156-ე მუხლი)

ზოგიერთ სწავლულის აზრით, ამ ციტატაში იმ ხალხის სიკვდილზეა საუბარი, რომლებმაც წერილი მიიღეს (ქრისტიანები და ებრაელები). მათი თქმით, სიკვდილამდე ყველა ქრისტიანი და ებრაელი იწამებს იესოს. მაგრამ იესოს სიცოცხლეში ებრაელების დიდ ნაწილის მისი არ სწამდა, ზოგიერთმა

მათგანმა შუამავლის მოკვლაც კი სცადა. ასეთი ქრისტიანები და ებრაელები შუამავალი იესოს ზეცად ამაღლებას ეჭვქვეშ აყენებდნენ. მათი შუამავლის მიმდევრებად მოხსენიება დაუშვებელია, რადგანც ისინი ყურანისეულ რწმენას არ სცნობენ.

ციტატა - *აღდგომის დღეს მან (იესომ) იმოწმოს მათ წინააღმდეგ* – ამტკიცებს, რომ შუამავალი იესო ამ ქვეყანაზე ხელმეორედ მოვა. ამ სურაში ნათქვამია, რომ ის ხალხი, რომლებმაც წერილი მიიღეს, ჭეშმარიტ რელიგიას შუამავალი იესოს სიკვდილამდე ირწმუნებენ. სურაში შუამავალი იესოს გარდაცვალებაა ნახსენები, სწორედ ამიტომ არის ყველა წინადადება მომავალ დროში. ციტატაში ნათქვამია, რომ წერილის ხალხი ირწმუნებს, რადგანაც ასეთი რამ ჯერ არ მომხდარა.

შემდეგი სურების განხილვისას ჩვენ შევიტყობთ, რომ ის ადამიანები, რომლებსაც წერილის სწამთ, შუამავლისასაც ირწმუნებენ და მისი მიმდევრებიც გახდებიან, განკითხვის

დღეს კი შუამავალი იესო მათ განსჯის. (ალლაჰი ყოვლის მცოდნეა)

3) შუამავალ იესოს ამქვეყნად მეორედ მოვლინება ყურანის სხვა სურებშიც არის ნახსენები:

„მაგალით და იგავ ვყავით იგინი მათ მემკვიდრეთათვის. თუ შენს ერს მარიამის ძე მაგალითად წინადაუდვეს, ლაპარაკის ყურის დაგდებას არ ისურვებენ. ამბობენ: ჩვენი ღმერთები უმჯობეს არიან, ვიდრე მარიამის ძე, თუ მარიამის ძე, ვიდრე ჩვენი ღმერთებიო? ამ საკითხს მხოლოდ ცილობის გულისათვის დაჰსდებენ. დიახ, მწამებელ არიან. იესო მხოლოდ მსახურია (კაცი), რომელიც ჩვენის წყალობით ავასეთ და რომელიც მაგალითად დავჰსდეთ ისმაელის შვილთათვის. ჩვენ რო გვენებებინა ანგელოზებს გაშობინებდით თქვენდა მემკვიდრედ ქვეყანაზე.“ (43-ე სურა, 56-60-ე მუხლები)

ალაჰი იესოს გულისხმობს, როცა ამბობს:

„ჟამის მოახლოვების მაჩვენებელ იქმნეს იგი. ნუ ეჭვობთ; მომყევით,

ვინადგან ესაა ჭეშმარიტი გზა.“ (43-ე სურა, 61-ე მუხლი)

ეს სურა ცხადჰყოფს, რომ შუამავალი იესო ამქვეყანაზე აუცილებლად დაბრუნდება, იგი ხომ ყურანის გარდამოვლინებამდე ექვს საუკუნით ადრე ცხოვრობდა. იქედან გამომდინარე, რომ განკითხვის დღე იესოს პირველ ცხოვრებაში არ ყოფილა, იგი ამქვეყნად *ჟამის მოახლოვებისას*, განკითხვის დღემდე დაბრუნდება. (ალლაჰი ყოვლისმცოდნეა)

4. ამ სასწაულზე საუბარი სხვა სურებშიც არის. აი, ერთ-ერთი მათგანი:

„ერთხელ ანგელოზებმა მარიამს უთხრეს: ღმერთი გახარებს თავისს სიტყვას. მას ეწოდოს მესია, იეოს, მარიამის ძე, უჩინებულესი სააქაოსა და საიქიოს და ღვთის მოყვასთაგანი. ვინადგან ხალხს უნდა ელაპარაკოს იგი აკვნის ყრმა და დაკაცებული, და მართალთა შორის იქმნეს. უფალო, მიუგო მარიამმა, როგორ მეყოლოს ძე? მამაკაცი არ ვიცი მე. ანგელოზმა სიტყვა ჩამოართვა: ღმერთმა ისე

გააჩინოს, როგორც ინებოს. იტყვის: იყავ და იგიც იქმნებაო. მას ასწავლოს წიგნი და სიბრძნე, დაბადება და სახარება.“ (3-ე სურა, 40-43-ე მუხლები)

მაინც რომელი *„წიგნი“* უნდა შეასწავლოს შუამავალმა იესომ კაცობრიობას? ყურანის შემდეგ სურაში ეს „წიგნი“ კიდევ არის მოხსენიებული და თან განმარტებაც ახლავს:

„მან უთხრას იესოს, მარიამის ძეს: მოიგონე კეთილ მოქმედება, რომელიც მოვიღე შენზე და დედაშენზე, როცა სიწმინდის სულით გაგამტკიცე, რათა კაცთათვის გელაპარაკნა აკვნის ყრმასა და დაკაცებულსა. წიგნი, სიბრძნე, დაბადება და სახარება გასწავლე.“ (5-ე სურა, 109-110-ე მუხლები)

ამ ციტატების ყურადღებით წაკითხვისას მივხვდებით, რომ *„წიგნი“* სხვა არაფერია თუ არა ყურანი, კაცობრიობისთვის მოვლინებული ბოლო უფლის სიტყვა. მანამდე ღმერთმა ადამიანებს თორა და ბიბლია (შუამავალი დავითისთვის შთაგონებული ფსალმუნები, ძველი აღთქმა) მოუვლინა. შემდეგ ციტატაში უფალი ყურანის ნაცვლად სიტყვა „წიგნს“ იყენებს, და ასევე თორასა და სახარებასაც მოიხსენიებს:

„ნუ გგონიათ, ღმერთი ყურს არ
აპყრობს უკეთურთა
მოქმედებას. მათ დააცლისთ იმ
დღემდე, როდეს ყველას თვალი
ხეცად აღიმართოს.“ (14-ე სურა,
43-ე მუხლი)

„... მოგმადლეთ წიგნი, რომელიც ყველაფრის ახსნას შეიცავს, რომელიც ჩვენის მოწყალების დამამტკიცებელია, რომელიც წარუმართებს და ახარებს საბედნიერო ამბებსა მათ, რომელნიც ღვთის ნებას მიენდობიან.“ (16-ე სურა, 91-ე მუხლი)

„ღმერთი. სხვა ღმერთი არა არს თვინიერ მისა, ცხოველისა, უცვალებელისა. სრულის ჭეშმარიტებით მოავლინა წიგნი, რომელიც მის უწინარეს ყოფილს განამტკიცებს; მაღლით დაბადება და სახარება გადმოავლინა კაცთა დასარიგებლად. განსხვავება გადმოავლინა.“ (3-ე სურა, 1-2-ე მუხლები)

მესამე წიგნი, რომელიც შუამავალმა იესომ დაისწავლა ყურანია.ყურანი კი ალლაჰმა კაცობრიობას შუამავალი იესოს ზეცად ამაღლებიდან 600 წლის შემდეგ მოუვლინა. ჩვენი შუამავლის ჰადისებში ნათქვამია, რომ მეორედ მოსვლის დროს შუამავალი იესო ბიბლიის ნაცვლად ყურანით იხელმძღვანელებს. (დამატებითი ინფორმაციითვის იხ. ჰარუნ იაჰიას „უკანასკნელი დღის ნიშნები“ (სტამბული, გლობალ ფაბლიშინგი, 2003წ)). ჰადისი კი სურის შინაარს ყველასათვის ნათელს ხდის.

5. შესაძლოა, რომ შემდეგ ციტატაშიც შუამავალი იესოს მეორედ მოსვლაზე იყოს საუბარი: **„ღვთის თვალში იესო იგივეა, რაც ადამ.“ (3-ე სურა, 52-ე მუხლი)** სწავლულები აღნიშნავენ, რომ ორთავე შუამავალი უმამოდ მოევლინა ამქვეყანას: ალლაჰმა ბრძანა „იქმენო“ და ადამი მიწისაგან გაჩნდა. იესოც უმამოდ ჩაისახა იგივე ღვთაებრივი ბრძანებით. შუამავალი ადამი დედამიწაზე ზეციდან ჩამოვიდა. შესაძლოა, რომ განკითხვის ჟამს შუამავალი იესოც ჩამობრძანდეს ღვთის საუფლოდან დედამიწაზე. მის მეორედ მოსვლაზე საუბარი ბევრ სურაშია. თანაც ყურანში სხვა შუამავლებთან ასეთი გამონათქვამები არ არის ნახსენები.

6. შუამავალი იესოს აღდგომაზე შემდეგ სურაშიც არის საუბარი:

„მშვიდობა იქმნეს ჩემს თავსა იმ დღეს, როცა დავიბადე, იმ დღესაც, როცა მოვკვდე, იმ დღესაც, როცა აღდგენილ ვიქმნე.“ (19-ე სურა, 34-ე მუხლი)

ამ ციტატას და 3-ე სურის, 48-ე მუხლს ერთმანეთს თუ დავუკავშირებთ, მნიშვნელოვან რეალობას აეხდება ფარდა: 3-ე სურის, 48-ე მუხლში მოთხრობილია, რომ შუამავალი იესო ზეცად ამაღლდა და იგი არც მომკვდარა და არც არავის მოუკლავს. 19-ე სურის, 34-ე მუხლში კი



„ჟამის ცნობა ღვთის ხელთაა. ზეცით თქვეში ჩამოჰყავს. მან უწყის, თუ დედათ მუცელნი რას ატარებენ. არც ერთმა სულმა არ იცის, თუ ხვალ რა უნდა ეწიოს, არც ერთმა სულმა არ იცის, თუ რომელ ქვეყანაში უნდა მოკვდეს. ღმერთი მეცნიერ და მცოდნეა. (31-ე სული, 34-ე მუხლი)

ნათქვამია, რომ იგი გარდაიცვლება. მისი სიკვდილი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ იგი ამ ქვეყანას ხელმეორედ მოევლინება.(ალლაჰი ყოვლისმცოდნეა)

7. შემდეგი საყურადღებო მტკიცებულება სიტყვა *კაჰლაანია*, რომელიც შემდეგ სურებშია ნახსენები:

„მან უთხრას იესოს, მარიამის ძეს: მოიგონე კეთილ მოქმედება, რომელიც მოვიღე შენზე და დედაშენზე, როცა სიწმინდის სულით გაგამტკიცე, რათა კაცთათვის გელაპარაკნა აკვნის ყრმასა და დაკაცებულსა. (კალაჰაან)“ (5-ე სურა, 109 მუხლი)

„ვინადგან ხალხს უნდა ელაპარაკოს იგი აკვნის ყრმა და დაკაცებული (კალაჰაან), და მართალთა შორის იქმნეს.“ (3-ე სურა, 41-ე მუხლი)

კალაჰაან, ეს სიტყვა მხოლოდ ამ ორ სურაშია ნახსენები და შუამავალი იესოს ზრდასრულ 30-დან 50 წლამდე ასაკს აღნიშნავს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ,

იგი ამ დროისთვის ყრმა აღარ იქნება. შუამავალი ზრდასრული, შეიძლება ითქვას ასაკოვანი იქნება. სწავლულები აღნიშნავენ, რომ ამ
სიტყვით 35 წელს გადაცილებულ ადამიანებს მოიხსენიებენ.
იბნ აბასის ჰადისზე დაყრდნობით, სწავლულები ასევე იმასაც ამბობენ, რომ შუამავალი იესო ზეცად, როცა ამაღლდა 30 წელზე ნაკლები ასაკისა იყო, 40 წლისა კი იგი ამქვეყნად მხოლოდ მეორედ მოსვლის შემდეგ იქნება. ამ ყველაფერს ზემოთ მოყვანილი სურაც ადასტურებს.
ეს გამონათქვამი მხოლოდ შუამავალ იესოსთან მიმართებაშია ნახსენები, რადგანაც ჩვენთვის ცნობილმა ყველა შუამავალმა ხალხის ჭეშმარიტი სარწმუნოებისკენ მოხმობა ზრდასრულ ასაკში დაიწყეს. შუამავალი იესოს შემთხვევაში კი საქმე ორგზის სასწაულთან გვაქვს. იგი ხალხს ჭეშმარიტებისკენ მაშინაც მოუხმობდა, როცა აკვნის ყრმა იყო და მათი სულების ხსნას ზრდასრულ ასაკშიც შეეცდება.
ატ-ტაბარი, თავის ნაწარმოებში „ატ-ტაბარის კომენტარი“ ამ გამონათქვამს შემდეგნაირად ხსნის:

„კურთხეულ იყოს იგი, რომლის ხელშიაც საბრძანებელია და რომელიც ყოვლად ძლიერია.“
(67-ე სურა, 1-ე მუხლი)

ეს სურა (5-ე სურა, 109-ე მუხლი) ცხადჰყოფს, რომ უკვე ზრდასრულ ასაკში იესო მისთვის დაკისრებული მოვალეობის შესასრულებლად და ხალხის ჭეშმარიტ გზაზე დასაყენებლად ამ ქვეყანას მეორედ მოევლინება. იგი ზეცად ძალზე ახალგაზრდა ამაღლდა. ეს ციტატა კი (3-ე სურა, 41-ე მუხლი) იმაზე მიუთითებს, რომ იესო ისევ ცოცხალია. სუნაშიც ზუსტად ასეა მოთხრობილი, რადგანაც ყურანის სურაში ნათლად არის ნათქვამი, რომ იგი ხალხს უკვე "დაკაცებული" მოუწოდებს ჭეშმარიტებისკენ. ზრდასრული ასაკის მიღწევას კი მხოლოდ მაშინ შეძლებს, როცა ზეციდან დედამიწას მოევლინება.

სიტყვა *"ქაჰლაანის"* განხილვა და ჩვენს მიერ მოწოდებული ინფორმაცია ადასტურებს, რომ შუამავალი იესო განკითხვამდე სასწაულებრივი გზით დაბრუნდება დედამიწაზე და კაცობრიობის ჭეშმარიტი რელიგიისკენ შემობრუნებას შეეცდება. ასე რომ, მორწმუნეები ვალდებულნი არიან მეორედ მოსულ შუამავალ იესოს მიერ ნაჩვენებ ჭეშმარიტებისკენ მიმავალ გზას დაადგნენ და ყურანის მორალი საფუძვლიანად გაითავისონ.

„ცათა და ქვეყნის სასუფეველი ღვთისაა; ყველაფერზე ხელი აქვს ღმერთსა.“ (3-ე სურა, 186-ე მუხლი)

ანგელოზებმა უთხრეს მარიამსა: ღმერთმა ამოგარჩია, ყოველის მწიკვლისაგან გაგცალა, ქვეყნის ყველა ქალებში ამოგარჩია.“ (3-ე სურა, 37-ე მუხლი)